# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 13 მაისი 2005 №105 (2428) ფასი 50 თეთრი

# ნამუსი ნამუსია!

## ამერი უმაღლეს ლიგაშია



## FAIR PLAY გლდანიდან

გუშინ გაირკვა პირველი ლიგის იმ ორი გუნდის ვინაობა, რომლებიც მომავალ სეზონს უმაღლეს ლიგაში დაიწყებენ. ესენი არიან „ბორჯომი“ და თბილისის „ამერი.“ ამ ორი კლუბისთვის დარჩენილ ოთხ ტურს მხოლოდ პირველ-მეორეობის თვალსაზრისით აქვს მნიშვნელობა, თორემ მდევართაგან მათ ვეღარავინ შესწვდება.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ როგორც ბორჯომელები, ისევე ამერელები უმაღლეს ლიგაში პირველად მოსინჯავენ ძალებს. ისიც საინტერესოა, რომ ან უკვე უმაღლესლიგელები ერთმანეთს ბოლო ტურში თბილისში ხვდებიან.

გუშინ თბილისის „ამერმა“ მცხეთის „ვიტ ჯორჯიას“ დამარცხებით უმაღლესი ლიგის საგზური დაიზღვია

# მესამედი ჩემპიონები

## სტუ-მ ცხრამეტიანით დაიწყო

„სტუ-ჯეოსელმა“ საჩემპიონოდ შეაღო ფინალური სერიის კარი. მართალია, საბოლოო გამარჯვებამდე ჯერ შორია, მაგრამ თუ ასე გამართულად და აზრიანად ითამაშებენ, ტექნიკოსებს წინ ვერაფერი დაუდგებათ.

გუშინ სტუ-მ ცხრამეტ ქულიანი მარცხით „ავიამშენს“ ხასიათი წაუხდინა და ფინალურ სერიაში, სადაც ჩემპიონი სამი მოგების შედეგად უნდა გამოვლინდეს, 1:0 დაწინაურდა. ტექნიკოსებმა იციან, რომ ეს დიდი ვერაფერი უპირატესობაა, მით უფრო მაშინ, როცა ლევან მოსეშვილის გამოცდილი მოთამაშეებით დაკომპლექტებულ გუნდს უპირისპირდებიან და მომავალი მატჩებისთვის ემზადებიან. თავის მხრივ „ავიატორებიც“ დიდ გულზე გახლავან და დღეს, სერიის მეორე მატჩში, რევანშის სურვილით შეპყრობილნი გავლენ მოედანზე



# არველაძე 16 მაისს გაოფიციალურდება



ვლადიმერ გუცაევის, გიორგი ნემსაძის და ზურაბ პეტრიაშვილის დარად საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე საკუთარ კანდიდატურის წამოყენება სფფ-ის ვიცე-პრეზიდენტმა რევაზ არველაძემ რომ გადაწყვიტა, ადრეც გაუწყეთ. ახალი კი ისაა, რომ არველაძე ოფიციალურად ამას ორშაბათს, 16 მაისს გააკეთებს და ამავე დღეს პრესკონფერენციას მოაწყობს.

ჯერჯერობით უცნობია, ფედერაციის რომელი სუბიექტი წარადგენს არველაძეს პრეზიდენტობის კანდიდატად. პრესკონფერენციაზე კი არველაძე თავის წინასაარჩევნო პროგრამასაც წარმოადგენს.

**დავით თავართქილაძე**

# გალიანიმ, კალაძეს გადავამოწმებთო



**კახა კალაძის** შესაძლო ტრანსფერზე ლამის ყოველდღე ვრცელდება ინფორმაცია. სავარაუდოდ, „მილანსა“ და „ჩელსის“ შორის მოლაპარაკებები დაწყებულია, თუმც ჯერჯერობით ამას ორივე კლუბი უარყოფს.

„როსონერის“ ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი ტრანსფერებზე საუბრით თავს არ იღლის, ჩემპიონთა ლიგის ფინალისთვის და სერია A-ს დარჩენილი მატჩებისთვის ვემზადებით, ამიტომაც ჯერ ვერც ალბერტო ჯილარდინოს და ვერც სხვების შეძენაზე ვერ ვილაპარაკებო. კახა კალაძეზე კი ეს თქვა: „მას უახლოეს დღეებში დაველაპარაკებით. კალაძე „მილანში“ ერთადერთია, რომელსაც კონტრაქტი 2006 წელს ეწურება“.

„ჩელსის“ პორტუგალიელი მწვრთნელი ჟოზე მაურინიუ კი გამალებით ეძებს მარცხენა მცველს, მის ფავორიტებში კალაძის გარდა „არსენალის“ ეშლი კოული, „უდინეზეს“ მარეკ იანკულოვსკი, „დორტმუნდის“ დედე და „ბილბაოს“ ასიერ დელ ორნოც ფიგურირებენ.

**ილია ნანოჩაშვილი**

# მიქაძეს მცველობა დაუფასეს



**ლატვიის** ჩემპიონატში პირველი წრე დასრულდა და ჟურნალისტებმაც შედეგები შეაჯამეს. საინტერესოა, რომ ლაურეატებში ერთადერთი ქართველი მოხვდა — ლევან მიქაძე პირველი წრის საუკეთესო მცველად დაასახელეს. სხვათა შორის, ლიეპაიას „მეტალურგსის“ ქართველი მცველისთვის ეს სეზონი სადებიუტოა ლატვიაში.

იმასაც შეგახსენებთ, რომ „მეტალურგსი“ პირველი წრის მერე პირველ ადგილზეა და კორღალიძე-მენთეშაშვილ-ჩალაძე-ელიავას „სკონტოს“ ოთხი ქულით უსწრებს.

**ძახა ზალამბერიძე**



ვისთვის შეუტევს სანდრო იაშვილი (მარცხნივ) ახალ სეზონში, ჯერჯერობით უცნობია

წლეულს, იანვრის ბოლოს 20 წლის სანდრო იაშვილი „გლაზგო რეინჯერსში“ გახლდათ გასინჯვაზე და „ჩაფართა“ მენეჯერ ალექს მაკლიშსაც მოაწონა თავი. იაშვილმა „რეინჯერსში“ დაახლოებით ორი კვირა დაჰყო და წამოსვლისას მაკლიშმა დაუბარა, ინგლისური ისწავლე, ახალგაზრდულ ნაკრებში ითამაშე და ყველაფერი რიგზე იქნებაო.

საცაა სეზონი დამთავრდება და სად წავა თბილისის „დინამოდან“ „თბილისში“ განათხოვრებული იაშვილი?

# იაშვილი და რეინჯერსი გრძელდება

## უკიდურესობამდე არასდროს არ უნდა მიხვიდე

— ჯერ არ ვიცი, რა როგორ იქნება. მსურს, რაც შეიძლება კარგ გუნდში წავიდე.

**— მათ შორის თბილისის „დინამოშიც“?**

— თუ „დინამოში“ დაბრუნებას შემომთავაზებენ, უარს არ ვიტყვი.

**— ეს იმას ნიშნავს, რომ შენი „რეინჯერსში ხელმეორედ წასვლა უკვე გამორიცხულია?**

— არა, როგორც ვიცი, „რეინჯერსთან“ მოლაპარაკება კვლავაც გრძელდება.

**— რაც გლაზგოდან ჩამოხვედი, ახალგაზრდულ ნაკრებში სამი უგოლო მატჩი ითამაშე და ეროვნულ ჩემპიონატშიც ველარ გაგაქვს ბევრი გოლი — ფორვარდი ხარ და „რეინჯერსში“ გადასასვლელად გოლები ალბათ გადამწყვეტი ფაქტორია...**

— გოლები მნიშვნელოვანი კია, მაგრამ მე სულ სხვა პრობლემებმა შემიშალეს ხელი. საბერძნეთ-თურქეთთან მატჩებისთვის ორივე კოჭი მტკიოდა და სრულად დღემდე ვერ გამოვჯანმრთელდი, მარჯვენა ტერფით ბურთს მთელი ძალით ახლაც ვერ ვურტყამ. ასეთი ტრავმის დროს დასვენება აუცილებელია, მაგრამ ამის საშუალება არ მქონდა. საბერძნეთთან და თურქეთთან შემეძლო, არ მეთამაშა, მაგრამ ხანდახან გუნდის ინტერესები საკუთარ თავზე მაღლა უნდა დააყენო.

**— გამოდის, ახლაც ტრავმირებული ხარ...**

— ბოლო ათი დღეა, უკეთ ვარ, მაგრამ მარჯვენა ტერფი მაინც მაწუხებს — ტერფს საგანგებოდ ვიხურებ, ნახვევებს ვიკეთებ და ასე ვუძლებ ტკივილს.

**— რა შეგძინა „რეინჯერსში“ გატარებულმა ორმა კვირამ?**

— იქ რომ ვიყავი, ფეხბურთის გარდა არაფერი მინდოდა, რადგან იქ სულ სხვა ფსიქოლოგიურ განწყობაზე ხარ. საქართველოში კი წინსვლისთვის ყველაფერი ხელს გიშლის. მეორე მხრივ, „დინამოში“ წინსვლისთვის საჭირო პირობები კი არის, მაგრამ საქართველო სულ სხვა ქვეყანაა, აქ სულ სხვა დონეა, ვიდრე იქ.

**— „რეინჯერსიდან“ შოთა არველაძე მიდის, შესაძლოა ზურა ხიზანიშვილიც — თუ იქ მარტო აღმოჩნდები, ძალიან გაგიჭირდება?**

— თავიდან ნებისმიერი ფეხბურთელი მარტოა ახალ გუნდში, მაგრამ ყველაფერს უნდა გაუძლო.

**— თუ საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელს „რეინჯერსში“ გადასვლა უნდა, ის ჯერ აქ არ უნდა გახდეს ძალიან მაგარი?**

— გარედან ყველაფერი სხვანაირად ჩანს, მაგრამ საქართველოში შეიძლება მართლა ვერ განაწყო საკუთარი თავი ფსიქოლოგიურად. არადა, ფეხბურთელისთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია. მოკლედ, თუ ვინმეს წინსვლა უნდა და წასვლის საშუალებაც აქვს, აუცილებლად უნდა წავიდეს აქედან.

**— შენ იმასაც გიწუნებენ, რომ სიმსუბუქე გაკლია...**

— ზედმეტი წონის პრობლემა ხანდახან მართლაც მაქვს, რაც ჩვენი ნოყიერი კერძების ბრალია. დიეტას ვიცავ, მაგრამ მაინც ვიმატებ ხოლმე წონაში. ისე, ბოლო დროს შედარებით მჩატედ ვგრძნობ თავს.

**— მზად ხარ იმისთვის, რომ ფეხბურთის გამო ბევრ რამეზე თქვა უარი?**

— უკიდურესობამდე არასდროს არ უნდა მიხვდე. ვარჯიშზე და თამაშზე ბოლომდე უნდა დაიხარჯო, ვარჯიშის და თამაშის წინ არ უნდა გამოძლე, თამაშის წინა დღეებში არ უნდა გადაყვე გართობას და კარგად უნდა დაისვენო. მაგრამ ჩვენთან თუ ვინმემ დისკოტეკაზე გნახა, აუცილებლად იტყვის, ამან ფეხბურთი როგორღა უნდა ითამაშოსო — ეს უცოდინრობის ბრალია.

**დავით თავართქილაძე**

### ინგლისი

პირველი ლიგა
პლეი ოფი. პირველი მატჩი

**შეფილდი 1:0 ბრენტფორდი**

### ფინეთი

ვეიკაუსლიგა. III ტური

**ინტერი 4:0 მარიეჰამნი**
**ჰაკა 1:0 მიუპა**
**იარო 1:1 ალიანსი**
**კტპ 3:0 ტამპერე**
**კუოპიო 1:2 ჰიკ**
**ლაჰტი 4:1 როვანიემი**

### იტალია

თასის ნახევარფინალი
პირველი მატჩი

**კალიარი 1:1 ინტერი**

### ესპანეთი

თასის ნახევარფინალი
საპასუხო მატჩი

**ატლეტიკო 0:0 *ოსასუნა* (0:1)**

### ჩეხეთი

თასის ნახევარფინალი

**პლზენი 0:0(პენ.0:3) *ბანიკი***

### უკრაინა

უმაღლესი ლიგა. XXVI ტური

**ზაკარპატია 0:0 შახტარი**
**დნიპრო 1:1 მეტალურგი (ზ)**

### როიალ ლიგა

**მალმიო 4:2 რუსენბორგი**
**ბრანი 0:1 გიოტებორგი**

### გერმანია

სამხრეთ რეგიონალლიგა
გადადებული მატჩი

**ოფენბახი 1:2 ვეჰენი**



# ჟორდანიას ექსპერტიზა თავიდან იქნება

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციის აწ ყოფილი პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია უკვე ერთი თვეა, წინასწარ პატიმრობაშია. მოგეხსენებათ, მას თანხების გაფლანგვა-მითვისების მუხლით ედავებიან და საქმე ამჟამად ძიებაშია. რაიონული სასამართლოს თავდაპირველი გადაწყვეტილება, რის თანახმადაც მერაბ ჟორდანიას სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს, საოლქოში კი გასაჩივრდა, მაგრამ ჟორდანიას მხარის თხოვნა არც ამ ინსტანციამ დააკმაყოფილა.

ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტის საქმესთან დაკავშირებით დღესდღეობით მნიშვნელოვანი სიახლე არაფერია, თუმც, როგორც გავიგეთ, გამოძიება შესაძლოა, „უკან დაბრუნდეს“ და საბუღალტრო ექსპერტიზა ხელახლა ჩაატაროს. სწორედ ამ საბუღალტრო ექსპერტიზის საფუძველზე დააკავეს მერაბ ჟორდანია, რომელსაც დარღვევები თბილისის „დინამოს“ პრეზიდენტობისას აღმოუჩინეს, მაგრამ, ახლა ირკვევა, რომ საბუღალტრო ექსპერტიზის თავდაპირველ დასკვნას გამოძიება დაუეჭვებია.

ჩატარდება თუ არა ახალი ექსპერტიზა, ერთ კვირაში გაირკვევა და მერე უკვე სათქმელიც მეტი იქნება.

**კობა ინასარიძე**



გამომძიებლები მერაბ ჟორდანიას საქმეს თავიდან მიუბრუნდნენ

# რკინიგზა სამწვრთნელო მომავლისკენ

## გიორგი დევდარიანი: უცხოეთში სწავლობენ, ჩვენ მზამზარეული გვინდა

**„თბილისი“ ახლადშექმნილი იყო და ამბიციაშეჭიდებულ გუნდს თავიდან თამაში არ აეწყო, რამდენიმე მწვრთნელიც გამოიცვალა, მაგრამ შედეგი არ მოდიოდა. გიორგი დევდარიანის გათავკაცებამ კი პირდაპირ „ათიანში“ მოარტყა, იმავე სეზონში „თბილისმა“ ევროტურნირების საგზური მოიპოვა, მაგრამ უფრო მთავარი ის იყო, რომ დევდარიანის ხელში არაერთი უწვერული ფეხბურთელი დაფრთიანდა.**

**გიორგიმ შარშან ოქტომბერში „თბილისის“ მწვრთნელობა ლუის ცაკარიასს დაუთმო, თავად კი გერმანიაში აპირებდა სტაჟირებაზე წასვლას, თუმც ეს ვარიანტი არ გამოვიდა. სამაგიეროდ, დევდარიანი თვენახევრით მოსკოვის „ლოკომოტივში“ იყო სტაჟირებაზე, საიდანაც რამდენიმე დღის წინ დაბრუნდა და იქაურ შთაბეჭდილებებზე მოგვიყვა**



გიორგი აბდალაძის ფოტო

„სადაც მეტი მოტივაციაა, იქ უფრო ხარისხიანადაც აკეთებენ საქმეს. ეს ჩემი პირველი სტაჟირება იყო უცხოეთში და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ქართველ მწვრთნელებს ძალიან ბევრი გვაქვს სასწავლი. ჩვენი ჩემპიონატის შემხედვარე, მაღალი დონის სპეციალისტად ვერ გაიზრდები. უცხოეთში კამათობენ, თითოეულ სამწვრთნელო ნიუანსს შიფრავენ, აქ კი მზამზარეული გვინდა ყველაფერი — ასე არ გამოვა. კამათში იკვეთება ჭეშმარიტებაო, ტყუილად კი არ არის ნათქვამი“ — დევდარიანს B ლიცენზია აღებული აქვს, ახლა კი A და PROF ლიცენზიების ჯერია. გიორგის იმედი აქვს, რომ საქართველოში სამწვრთნელო კურსები გაგრძელდება და ორივე ლიცენზიას მალე მოიპოვებს.

სწავლა სიბერემდეო და, დევდარიანმა „ლოკომოტივში“ სამწვრთნელო კუთხით ბევრი სიახლე დაინახა, მათ შორის, ცხადია, ტაქტიკურიც:

„დიდ აქცენტს აკეთებდნენ გოლების არგაშვებაზე, დაცვის ორგანიზაცია უმაღლეს დონეზეა აყვანილი. აქამდე ჩემთვის უცნობი ნიუანსებიც დავინახე. „თბილისის“ მწვრთნელობისას უფრო დიდ ყურადღებას შეტევას ვუთმობდი, საერთოდ, შემტევი ფეხბურთი ჩემს გულში ზის და ამ გზას არ გადავუხვევ, მაგრამ დაცვის ისეთ მეთოდს, როგორიც „ლოკომოტივის“ ვარჯიშებზე და მატჩებზე ვნახე, აუცილებლად გამოვიყენებ“.

დევდარიანი ლოკომოტიველ ქართველებზეც გვიყვება, ჩვენიანები ძალიან უყვართ გულშემატკივრებს და მათ საკუთარი ფანებიც კი ჰყავთო.

„მოსკოველთა ძირითადი გუნდის გარდა, დუბლების ვარჯიშებსა და თამაშებსაც ვესწრებოდი. მალხაზ ასათიანზე და მიხეილ აშვეთიაზეც აღარაფერს ვამბობ და ძალიან მიხარია, რომ მათე ღვინიანიძე და გიორგი ჭელიძეც ყოჩაღად ბურთაობენ. ჭელიძე „თბილისში“ თამაშობდა, ჩემი უმცროსი მეგობარია და მას განსაკუთრებულად ვქომაგობდი. ერთს ვიტყვი, მათეც და გიორგიც „ლოკოს“ დუბლებში საუკეთესოები არიან, მწვრთნელები მათ ძალიან ემადლიერებიან“.

„თბილისის“ ყოფილი მწვრთნელი გერმანიაში წასვლას მაინც ცდილობს — ძალიან მინდა, სტაჟირებები არ მოვიკლო, მაგრამ უახლოესი გასვლა როდის მექნება, ჯერ არ ვიციო.

ეს სეზონი მთავრდება, ზაფხულიდან კი დევდარიანი არ გამორიცხავს, ერთ-ერთ ქართულ გუნდს ჩაუდგეს სათავეში. ყოველ შემთხვევაში, ამის სურვილი აქვს და, ვთიქრობთ, უმაღლესლიგელი კლუბებიც არ ითაკილებენ გიორგის მიწვევას.

ერთი პერიოდი ასეთმა ინფორმაციამ გაჟონა, დევდარიანს „დინამომ“ შესთავაზა მწვრთნელობა (კახა ცხადაძის დანიშვნამდე), მაგრამ მან იუარა — ამ ეტაპზე „დინამოს“ დარ მაღალი დონის გუნდის მწვრთნელობისთვის მზად არ ვარო. გიორგი დღესაც ასე ფიქრობს: „დინამოს“ გადასარევი მწვრთნელი ჰყავს და ეს გუნდი საქართველოში ყოველმხრივ საუკეთესოა, მე კი ევროტურნირობისთვის ჯერ გამოუცდელი ვარო.

„ილუზიებს არ ავყვები. ჩემი ევროპული გამოცდილება ვარშავის „ლეგიასთან“ თამაშებით შემოიფარგლება. ჯერ ვერ დავიჩემებ, გუნდს ხელს მოვკიდებ და ჩემპიონთა ლიგის ან უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე გასასვლელად ვიბრძოლებ-მეთქი. საამისოდ ბევრი უნდა ვისწავლო და თუ ყველაფერი აეწყობა, 3-4 წელიწადში გამოჩნდება საევროპო ამბიციები.

...რაც შეეხება მომავალ სეზონს, ვიმეორებ, რომელიმე უმაღლესლიგელი ქართული კლუბის გაწვრთნა მსურს, გარკვეული წინადადებებიც მაქვს, მაგრამ ჯერ რეალური არაფერია. ახლა წინა პლანზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის არჩევნებია. ვნახოთ, იმედია, საღი აზრი გაიმარჯვებს“.

**ილია ნანობაშვილი**


# თქვენი ინტერვიუ ალენ ჟირესთან

*თქვენი კითხვების მორიგი ადრესატი საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ალენ ჟირესი გახლავთ. მუსიე ჟირესი, მოგეხსენებათ, ფრანგია, მაშასადამე, ევროპელი და, ალბათ, „ჩამჭრელ“ და „მკვლელ“ კითხვებს მისთვის არ დაინანებთ. ჟირესი და „სარბიელი“ თქვენს კითხვებს 25 მაისამდე დაელოდებიან, ხოლო „თქვენ ინტერვიუს“ ჟირესთან 1 ივნისამდე იხილავთ.*



მოგვმართეთ ტელეფონი: 38 11 14; ელექტრონული ფოსტა: **Starmail@Caucasus.net**

საქართველოს პირველი ლიგა — ჩემპიონატი 16 — მეორე წრე — 26 ტური

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა



პატარა ვეტერინარები ვახტანგ ხვადაგიანის (№24) თავურმა გატეხა

# ამერი უმაღლეს ლიგაშია!

კახა შალამბერიძე

გიორგი ჩიხრაძის ბიჭებმა გუშინ მცხეთის „ვიტ ჯორჯია" 2:0 დაამარცხეს, პარალელურად კი უმაღლეს ლიგაში გადასვლის მოსურნე თბილისის „სპარტაკი" შინ საჩხერის „ჩიხურამ" დაჯაბნა და... მორჩა, პირველ ლიგაში გასარკვევი გაირკვა — თბილისის „ამერი" უმაღლესლიგელია!

თამაში ისე დაიწყო, გადატენილ ტრიბუნებს მხოლოდ „სპარტაკ" — „ჩიხურას" ანგარიში ჰქონდათ სანერვიულო. აბა, ამერელებმა პირველ 15 წუთშიც აჩვენეს, რომ „ვიტ ჯორჯიას" „შესაჭმელად" მზად იყვნენ და მათი მოგებაც თითქოს ეჭვს აღარ იწვევდა.

დროის ამ მონაკვეთში ჯერ დავით სევასტოპულომ ვერ მიუსწრო გიზო ჯელაძის გამჭოლ პასს, მერე სულიკო დავითაშვილს დაუფარეს მცველებმა, ალექსანდრე კაიდარაშვილმა მცირედით ააცილა, ისევ სევასტოპულოს გარჯა კი მეკარემ შთანთქა.

მოკლედ, „ამერმა" მწვავედ შეუტია და 29-ე წუთზე პატარა სასწაულიც მოხდა: სევასტოპულოს ვიტელთა მეკარემ აუღო, დამატებაზე კი დავითაშვილი გაჩნდა გაჩნდა და ცარიელი კარის წინ მდგომმა ერთი შეხებით მოთვინიერებულ ბურთს მშვიდად მიარტყა ფეხი. სასწაული? სასწაული ისაა, რომ კარის ხაზზე უეცრად მცველი ამოიზარდა და...

ეს იყო და, ტრიბუნაზე შეფენილი ხალხი ნავსზე ალაპარაკდა. ჰქონდათ კიდეც ამის საბაბი. აბა, რა უნდა ვთქვათ, როცა მეკარესთან პირისპირ დარჩენილი დავითაშვილი მოულოდნელად ბურთს ფეხს აბიჯებს, კაიდარაშვილი კი 7-8 მეტრიდან კარს ველარ უმიზნებს?!

თან ამ დროისთვის „სპარტაკმა" გაუტანა „ჩიხურას" და გუშინ „ამერის" გაუმაღლესლიგელებას კითხვის ნიშანი დაესვა.

მეორე ტაიმი სხვანაირი გამოდგა: „ამერმა" პირველ ნახევართან შედარებით გაცილებით ნაკლები მომენტი შექმნა, თუმც ორი გოლი გაიტანა. 49-ე წუთზე გიორგი დეკანოსიძის ნაკუთხურალს ვახტანგ ხვადაგიანმა მოუძებნა სწორი გაგრძელება — თავით შორეულ ცხრიანში ჩასვა ბურთი — 1:0.

მერე „ვიტ ჯორჯიასაც" ჰქონდა შანსი, როცა ირაკლი მალიჩავას შორეულ დარტყმულს რევაზ ნაჭყეპიამ წაატანა თითები და კუთხურზე მოიგერია.

90-ე წუთზე კი შეცვლაზე შესულმა რატი წინამძღვრიშვილმა იყოჩაღა და „ამერს" 2:0 მოაგებინა.

...იმედი აღარავის ჰქონდა, მაგრამ ერთხელაც „გაიხედა" ხალხმა „ჩიხურასკენ" და არცთუ ტყუილუბრალოდ — როგორც ზემოთ გითხარით, საჩხერელებმა 2:1 სძლიეს „სპარტაკს", რამაც „ამერი" ჩემპიონატის დასრულებამდე ოთხი ტურით ადრე ალაზევა უმაღლეს ლიგაში. მაშინ უნდა გენახათ სიხარული, ტაში, მაშხალები, ყიჟილი და ხივილი...

აქვე დავძენთ, რომ „ამერთან" ერთად უმაღლეს ლიგაში გადავიდა „ბორჯომიც", რომელმაც გუშინვე შინ 1:0 მოუგო „მერანს".

თბილისი. 12 მაისი. 17 საათი. ფკ ამერის სკოლა. 350 მაყურებელი

## ამერი 2:0 ვიტ ჯორჯია

1:0 ხვადაგიანი (49), 2:0 წინამძღვრიშვილი (90)

**ამერი:** ნაჭყეპია, დავითნიძე, ხვადაგიანი, კედელაშვილი, ზ. ჯელაძე, დეკანოსიძე, გ. ჩხეტიანი (სილაგავა 46), გ. ჯელაძე, კაიდარაშვილი (ბერიანიძე 82), დავითაშვილი (წინამძღვრიშვილი 70), სევასტოპულო

**მწვრთნელი:** გიორგი ჩიხრაძე

**ვიტ ჯორჯია:** მუჯრიშვილი, აბშილავა, ა. კვახაძე, ლ. მანწკავა (ოფციაური 72), გ. ჩელქაძე, ჯაფარიძე, ქუხილავა, მალიჩავა, კუსრაშვილი, კობახიძე, ნათიძე (კლიმიაშვილი 81)

**მწვრთნელი:** მიხეილ კალმახელიძე

**გაფრთხილება:** ნათიძე (39), კედელაშვილი (54), მალიჩავა (59), ზ. ჯელაძე (68), წინამძღვრიშვილი (80)

**მსაჯები:** გ. ვადაჭკორია; ა. სამხარაძე, ა. ნონიკაშვილი; ა. შილაკაძე

**ბორჯომი 1:0 მერანი**

**სპარტაკი 1:2 ჩიხურა**

**კახეთი 0:1 დინამო 2**

**ივერია 2:1 მაღაროელი**

**ოლიმპი 0:0 რუსთავი**

**ლოკომოტივი 2 1:0 საგარეჯო**

**ცხინვალი 0:0 გურია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბორჯომი | 26 | 20 | 3 | 3 | 62:26 | 63 |
| ამერი | 26 | 20 | 2 | 4 | 81:15 | 62 |
| სპარტაკი | 26 | 14 | 8 | 4 | 44:27 | 50 |
| ვიტ ჯორჯია | 26 | 14 | 6 | 6 | 39:22 | 48 |
| კახეთი | 26 | 14 | 4 | 8 | 42:31 | 46 |
| დინამო 2 | 26 | 14 | 1 | 11 | 54:41 | 43 |
| ცხინვალი | 26 | 13 | 4 | 9 | 34:28 | 43 |
| გურია | 26 | 10 | 7 | 9 | 28:35 | 37 |
| ჩიხურა | 25 | 9 | 7 | 9 | 26:27 | 34 |
| რუსთავი | 26 | 9 | 4 | 13 | 32:37 | 31 |
| ლოკომოტივი 2 | 25 | 8 | 5 | 12 | 29:38 | 29 |
| ოლიმპი | 26 | 7 | 5 | 14 | 30:41 | 26 |
| ივერია | 25 | 7 | 5 | 13 | 22:38 | 26 |
| მერანი | 26 | 7 | 4 | 15 | 31:45 | 25 |
| საგარეჯო | 26 | 3 | 5 | 18 | 21:59 | 14 |
| მაღაროელი | 25 | 0 | 4 | 21 | 12:77 | 4 |

# ქართველების ჯანი აზერბაიჯანში

## აბრამიძე-ადამიამ ხაზარი გაადნეს



თენგიზ სიჭინავა

**აზერბაიჯანის** ჩემპიონატში 31-ე ტური ჩახრიგინდა და ავრორამ გიორგი ადამიას „ნეფთჩითვის" გაისროლა. მენავთობეებმა შინ 2:1 მოუგეს ოდინდელ ლიდერ „ხაზარს" და, რა თქმა უნდა, თავისი წონადი სიტყვა ადამიამაც თქვა. ექსვიტჯორჯიელს გოლი არ გაუტანია, მაგრამ დუბლის ავტორმა ზაურ ტაგიზადემ ორივე გოლი სწორედ მისი პასით გაიტანა. ბაქოელები პირველი ტაიმის ბოლოს დაწინაურდნენ, ლენქორანელებმა შესვენების შემდეგ მალევე კი გაათანაბრეს, მაგრამ 78-ე წუთზე ადამიამ ფლანგზე ჩაიქროლა და გადამწყვეტი გოლიც გამოცხვა.

გიორგიმ მარცხენა გარემარბად ითამაშა, „ნეფთჩის" მეორე ქართველი ვალერი აბრამიძე კი ცენტრალური მცველი იყო.

აზერბაიჯანის ჩემპიონატში სამი ტურიღა დარჩა: „ნეფთჩი" „ხაზართან" ერთად მეორე-მესამე ადგილებს იყოფს 69 ქულით, ლიდერი კი 70-ქულიანი „ყარაბახია". ისე, ჩემპიონობის პატარა შანსი „კარვანსა" და „თურანსაც" აქვთ, რომლებსაც 67 ქულა მოუგროვდათ.

„თურანში" ორი ყოფილი თბილისის ლოკომოტიველია — თენგიზ სიჭინავა და ზაზა ლაცაბიძე, რომელთა გუნდმაც ზედიზედ ოთხი თამაში მოიგო, გუშინწინ კი სტუმრად „კარატს" 3:1 აჯობა. ერთი გოლი სიჭინავამ შორეული დარტყმით შეაგდო.

ალეკო გოგობერიშვილისა და მერაბ ძოძუაშვილის „ბაკიმ" სტუმრად 0:0 ითამაშა „მოიკოან" და მეექვსე ადგილს ტკეპნის.

და კიდევ ერთ ქართულ გოლზე: მიხეილ ხუციშვილმა „აღლიის" კი გაუტანა, მაგრამ მისმა „გიანჯამ" 1:2 წააგო. თბილისის „მერანისა" და მოლდოვური „შერიფის" ყოფილ თავდამსხმელს ამ სეზონში უკვე 14 გოლი მოუგროვდა.

ილია ნანობაშვილი

## თვალ თვალი



„ლოკომოტივი" „ვიტ ჯორჯიას" მცხეთაშიც უგებს და დავით ყიფიანის თასის ფინალში გადის. ეს ფოტო სწორედ მცხეთაში, გურამ დოლენჯაშვილის მიერაა გადაღებული. ეტყობა, მატჩის უინტრიგობა ამ შავტუხა ცუგამაც იგრძნო, ლაღად გაისეირნა მინდორზე და კანტი-კუნტად შეკრებილი გულშემატკივრებიც გაახალისა.

შავი კია, მაგრამ კატა ხომ არაა, ვინმე დაითრსოს.

# ბელამის SMS-ები ალან, შენი...



იყო დრო, კრეიგ ბელამი და ალან შირერი მეგობრობდნენ

„ნიუკასლი“ ამ სეზონში თამაშით არ ბრწყინავს. სამაგიეროდ, გუნდი სკანდალების ბუდედ იქცა. ჯერ კრეიგ ბელამი აუჯანყდა გრემ სუნესს, თავდასხმის ნაცვლად ნახევარდაცვაში რატომ მათამაშებო. შედეგად, უელსელი ფორვარდი მწვრთნელს ეჩხუბა და მოჯანყე გლაზგოს „სელტიკში“ გაუშვეს.

მერე ფრანგი ლორან რობერის ჯერი დადგა. „სპორტინგთან“ საპასუხო მეოთხედფინალური მატჩის წინ ფრანგმა სუნესი და თანაგუნდელები გააკრიტიკა.

ბოლოს კი ლი ბოიერმა და კირონ დაიერმა „იყოჩაღეს“ — „ნიუკასლის“ ფეხბურთელებმა პრემიერლიგის ერთ-ერთ შეხვედრაში ერთმანეთს მუშტებით მოედანზევე დასცხეს.

ჰოდა, ნუ გაიკვირვებთ, რომ საამსეზონო სკანდალები... ისევ კრეიგ ბელამიმ დააგვირგვინა, რომელიც ისე გათავხედდა, რომ გლაზგოდან თვით... ალან შირერი შეურცხყო: ინგლისის ლიგის თასის ნახევარფინალურ მატჩში „ნიუკასლი“ „მანჩესტერ იუნაიტედთან“ რომ დამარცხდა, ბელამიმ ამით ისარგებლა. მან ალან შირერს და „ნიუკასლის“ თავმჯდომარე ფრედი შეპარდის შვილს მობილურით SMS-ები გაუგზავნა. შეპარდის შვილისთვის გაგზავნილი ტექსტი შედარებით რბილი იყო, შირერს კი ბელამიმ ლანძღვა არ დააკლო. ნიუკასლელთა კაპიტანი, ცხადია, საშინლად გაბრაზდა და უელსელს „ხურდა“ დაუბრუნა: „შენ ვეღარასოდეს ეღირსები „ნიუკასლში“ დაბრუნებას“ — უთქვამს შირერს.

„კაჭკაჭებთან“ ვერა, მაგრამ პრემიერლიგაში დაბრუნების შანსი კი კრეიგ ბელამის მაინც აქვს. „ბლექბერნის“ მწვრთნელ მარკ ჰიუზს სურს მისი გადაბირება და ხუთი მილიონი გირვანქის გადახდაზეც ყაბულაა.

**ვაჟა ხუციშვილი**



# პალტოს ფასი

## აჰა, შენ ჟოზე, 15 000 და გაიხადე

**ჟოზე მაურინიუ** და მისი ცნობილი „არმანის“ პალტო, რომლითაც პორტუგალიელი არაერთხელ მდგარა მოედნის კიდესთან, ალბათ, გაიყრებიან.

ინგლისურმა „სანმა“ მწვრთნელს ურჩია, პალტო აუქციონზე გაეყიდა და მიღებული თანხა ქველმოქმედებას მოახმაროს. „სანმა“ მაურინიუს უკვე შესთავაზა 10 ათასი გირვანქა „არმანის“ ნაწარმისთვის.

პორტუგალიელმაც ორი დღე იფიქრა და ფასი 15 ათასამდე გაზარდა. აქამდე, ძალიან მიჭირს ამ პალტოსთან განშორება, მასთან ხომ ბევრი სასიამოვნო მოგონება მაკავშირებსო.

„თუ ვინმე 15 ათასზე მეტს გადაიხდის, მაშინ სიამოვნებით დავუთმობ“ — თქვა „ჩელსის“ მეკარეზე თავკაცმა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ლიპის ბიჭები ტურნეში



მარჩელო ლიპისთვის ექსპერიმენტები უცხო ხილი არაა

**იტალიის** ნაკრებმა ამერიკასა და კანადაში მცირე ტურნე დაგეგმა. თუმც იქამდე „სკუადრა ატურას“ ნორვეგიასთან მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ელის. ეს შეხვედრა 4 ივნისს გაიმართება ოსლოში.

ამის შემდეგ აპენინელები ზემოხსენებულ ტურნეზე გაემგზავრებიან — 8 ივნისს ისინი სერბეთის ნაკრებს დაუპირისპირდებიან. ეს შეხვედრა კანადაში, კერძოდ, ტორონტოში ჩვენი დროით ღამის 4 საათზე დაიწყება, ხოლო 11 ივნისს იტალიელები, ჩვენი დროით სადამოს 11 საათზე ნიუ იორკში ეკვადორს გაეჯიბრებიან.

ამ ტურნეში წამსვლელ ფეხბურთელთა სიას მარჩელო ლიპი ნორვეგიასთან მატჩის შემდეგ დაასახელებს, თუმც უკვე ცნობილია, რომ ექსპერიმენტი ბევრი იქნება — „იუვეს“ ყოფილი თავკაცი არჩეული გზიდან გადახვევას არ აპირებს და სურს, შანსი ყველას მისცეს.

**გიორგი ქაქაბაძე**



ალბერტო ჯილარდინო პარმელებმა შეშინეს

# რა ამბავია 35 მილიონი?

## ჯილარდინომ, ამდენი არ ვღირვარო

**როგორც იცით,** „პარმას“ სპორტულმა დირექტორმა ლუკა ბარალდიმ რამდენიმე დღის წინ განაცხადა, ალბერტო ჯილარდინოს 35 მილიონ ევროზე ნაკლებად არ გავყიდითო. ამ განცხადებას უკვე ბევრი გამოხმაურებაც მოჰყვა. მათ შორის ფეხბურთელის მთავარი მსურველის, „მილანისგანაც“, რომელსაც ფასი ძალიან ეძვირა.

გუშინ კი კომენტარი თავად ფორვარდმაც გააკეთა. გაირკვა რომ, დასახელებული თანხა ჯილარდინოსაც ებევრება და შიშობს, რომ საოცნებო, დიდ გუნდში ვერასდროს ითამაშებს.

ალბერტო ჯილარდინო: „არც კი ვიცი, ვინმე გადაწყვეტს თუ არა ჩემს ყიდვას. „მილანი“? იქნებ „იუვენტუსი“? არც ამ ვარიანტს გამოვრიცხავ. ეს კლუბები იტალიური და მსოფლიო ფეხბურთის გრანდები არიან. მათ რიგებში დიდი სიამოვნებით ვითამაშებდი, თუმც ჩემს შესაძენად ძალიან დიდი ფულის დახარჯვა მოუწევთ და არ ვარ დარწმუნებული, რომ ამაზე წავლენ. ჩემი აზრით, 35 მილიონი გადაჭარბებული ფასია“.

ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ ალბერტო ჯილარდინოს შეძენა „მილანს“, „იუვენტუსს“, „ინტერს“, „ჩელსისა“ და „რეალს“ სურთ. თუმც ფავორიტად „შავ-წითლები“ ითვლებიან, ისინი 30 მილიონი ევროს გადახდაზე არიან ყაბულს.

**გიორგი ქაქაბაძე**

# გაყიდე, იყიდე, რა ქარვასლაა?!

## იუვენტუსი გაწუწურაქდა

„**იუვენტუსის**“ პრეზიდენტი ფრანცო გრანდე სტივენსი დირექტორთა საბჭოს შეხვდა, რის შემდეგაც თქვა, რომ ახალ ფეხბურთელებს ისე ვერ ვიყიდით, თუ ძველები არ გავყიდეთო. მიუხედავად ამისა, აპენინური პრესა მიიჩნევს, რომ ტურინელები ალბერტო ჯილარდინოს შეძენისთვის ბრძოლას აპირებენ.

„სერიოზული ტრანსფერებისთვის საჭირო თანხები არ გვაქვს. თუ ახალი მოთამაშეების შეძენა გვინდა, ჯერ ძველებს უნდა შევველიოთ. ყველაფერზე სეზონის ბოლოს მოვილაპარაკებთ“ — განმარტა სტივენსმა.

როგორც ამბობენ, ალბერტო ჯილარდინოს ან ანტონიო კასანოს შესაძენად ტურინელები ეგებ დავიდ ტრეზეგესაც კი შეელიონ. შეგახსენებთ, რომ ფრანგის დამატებით სურვილი „არსენალსა“ და „ბარსელონას“ აქვთ.

გარდა თავდასხმისა, ფაბიო კაპელოს დაცვისა და ნახევარდაცვის გაძლიერებაც სურს, სადაც ფაბიო კანავაროს, მაურო კამორანეზისა და პაველ ნედვედს რეალური კონკურენტი თითქმის არ ჰყავთ. შესაბამისად, გასხვისების საფრთხე ტურინელთა თითქმის ყველა ფეხბურთელს ემუქრება.

ბოლოს კი იმას გეტყვით, რომ „ბებერმა ქალბატონმა“ ზლატან იბრაჰიმოვიჩის შეძენაც სწორედ ამ გზით შეძლო — შვედი ფორვარდისთვის მათ მარკო ვაიოს „პალერმოში“, ხოლო ჯორჯო კიელინის, ენცო მარესკასა და ფაბრიციო მიკოლის სანაცვლოდ „ფიორენტინაში“ გაყიდვა მოუხდათ.

**გიორგი ქაქაბაძე**

# ბებრის ყვავილობა

## ინგლისი

**პრემიერლიგა**

**გადადებული მატჩი**

**არსენალი 7:0 ევერტონი**

1:0 ვან პერსი (8), 2:0 პირესი (12), 3:0 ვიეირა (37), 4:0 პირესი (50), 5:0 ედუ (70პ), 6:0 ბერხკამპი (77), 7:0 ფლამინი (85)

**არსენალი:** ი. ლემანი, ლორენი, ს. კემპბელი, სენდეროსი, ეშლი კოული, პირესი (ფაბრეგასი 64), ვიეირა (ფლამინი 46), ედუ, რეიესი, ბერხკამპი, ვან პერსი (ანრი 46)

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

**ევერტონი:** რ. რაიტი, ჰიბერტი, ვეირი, იობო, პისტონე, კარსლი, მაკფადენი, ს. უოტსონი, არტეტა (დ. ფერგიუსონი 75), კილბეინი, ბიტი (მ. ბენტი 46)

მწვრთნელი: დევიდ მოიესი

გაფრთხილება: ფლამინი, კემპბელი

მსაჯი: ვაილი

38 073 მაყურებელი

**მთელი** სეზონის ჯავრსა და უიღბლობას „არსენალმა" ოთხშაბათ ღამით გასცა პასუხი, როცა არაფრის გადამწყვეტ მატჩში 7:0 მოუგო „ევერტონს".

ამ დაუნდობელი შედეგის შემოქმედი კი იყო დენის ბერხკამპი, რომელმაც ორი გოლი გაატანინა თამაშის პირველ 12 წუთში რობინ ვან პერსისა და რობერ პირესს. ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „მეთოფეთა" კიდევ ერთი გოლიც მისი პასით გაიტანა პატრიკ ვიეირამ, რომელიც მეკარე რიჩარდ რაიტთან პირისპირ დარჩა.



დენის ბერხკამპმა გუშინწინ ბრწყინვალედ ითამაშა — საგოლე პასებიც არიგა და გოლიც გაიტანა

მეორე ტაიმში პირესმა კიდევ ერთი შეაგდო, მერე ედუმ პენალტი გარდასახა, მეექვსე გოლი თავად ბერხკამპმა გაიტანა, დამაგვირგვინებელი კი მეტიუ ფლამინიმ.

ცხადია, ამ თამაშის წარმოდგენა არ გაგიჭირდებათ და ბერხკამპის გასაოცარი თამაშის ერთ-ერთი მიზეზი კი ეგებ ისიც იყოს, რომ 36 წლის ჰოლანდიელს ერთ თვეში უმთავრდება კონტრაქტი „არსენალთან", ხოლო ახალი მისთვის აღარ შეუთავაზებიათ.

ოთხშაბათ საღამოს მთელი „ჰაიბერი" გუგუნებდა: „ერთი წელიც, ერთი წელიცო", თუმცა, არსენ ვენგერს გადაწყვეტილად . არაფერი უთქვამს. უნდა ვილაპარაკოთო, დიდი ფეხბურთელია, მაგრამ მოხუცდა და თვითონაც იცის, რომ სეზონში თამაშების ნახევარს თუ გაქაჩავსო.

„მე მესმის ფანების — თქვა ვენგერმა — ის, არა მარტო ტრიბუნებს უყვარს, [illegible] მოძლვარია ჩვენი [illegible] ფეხბურთელებისთვის".

იქით კვირას კი „არსენალს" ასოციაციის თასის ფინალი ელოდება „მანჩესტერის" წინააღმდეგ. რაც შეეხება ასე დამცირებული „ევერტონის" მენეჯერ დევიდ მოიესს, მან თქვა: „სრულიად გაოგნებული ვარ იმით, რაც მინდორზე ვიხილე. ჩვენ დიდებული გასული კვირა გვქონდა და არავის გავუკრიტიკებივართ, მაგრამ ახლა გაოგნებული ვარ".

**ირაკლი ბამყრელიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ჩელსი** | 37 | 29 | 7 | 1 | 71:14 | 94 |
| არსენალი | 37 | 25 | 8 | 4 | 86:34 | 83 |
| მანჩესტერი | 37 | 21 | 11 | 5 | 56:25 | 74 |
| ევერტონი | 37 | 18 | 7 | 12 | 43:43 | 61 |
| ლივერპული | 37 | 16 | 7 | 14 | 50:40 | 55 |
| ბოლტონი | 37 | 15 | 10 | 12 | 46:42 | 55 |
| მიდლსბრო | 37 | 14 | 12 | 11 | 52:45 | 54 |
| სიტი | 37 | 13 | 12 | 12 | 46:38 | 51 |
| ტოტენჰემი | 37 | 14 | 9 | 14 | 47:41 | 51 |
| ასტონ ვილა | 37 | 12 | 11 | 14 | 44:50 | 47 |
| ჩარლტონი | 37 | 12 | 9 | 16 | 40:56 | 45 |
| ნიუკასლი | 37 | 10 | 13 | 14 | 46:56 | 43 |
| ბირმინგემი | 37 | 10 | 12 | 15 | 38:45 | 42 |
| ბლექბერნი | 37 | 9 | 14 | 14 | 32:43 | 41 |
| ფულემი | 37 | 11 | 8 | 18 | 46:60 | 41 |
| პორტსმუთი | 37 | 10 | 9 | 18 | 43:57 | 39 |
| ნორვიჩი | 37 | 7 | 12 | 18 | 42:71 | 33 |
| საუთჰემპტონი | 37 | 6 | 14 | 17 | 44:64 | 32 |
| კრ. პალასი | 37 | 7 | 11 | 19 | 39:60 | 32 |
| ვესტ ბრომვიჩი | 37 | 5 | 16 | 16 | 34:61 | 31 |

# ბაროში სიტყვების ომში
## ჩეხს ბენიტესი აბრაზებს

*მილან ბაროში ნაწყენია რაფაელ ბენიტესზე, რადგან ესპანელი მწვრთნელი ჩეხ ფორვარდს ხშირად ცვლის და მატჩის ბოლომდე არ ათამაშებს. პრემიერლიგის გასულ ტურში, „არსენალთან", ბაროში პირველი ტაიმის შემდეგ ჯიბრილ სისემ შეცვალა, რომელიც ნელ-ნელა ფორმაში შედის. ფრანგმა მეგოლემ მარშან, ოქტომბერში „ბლექბერნთან" შეხვედრაში ფეხი მოიტეხა და ერთი თვის წინ საბოლოოდ გამოკეთდა*



მილან ბაროში „ლივერპულში" უკმაყოფილოა

**რაფაელ ბენიტესი** ამ უქმეებზე ძირითად შემადგენლობაში ჯიბრილ სისეს გამწესებას აპირებს და, როგორც ამბობენ, ამის შემდეგ გადაწყვეტს, ვინ ითამაშებს თავიდან ჩემპიონთა ლიგის ფინალში — ფრანგი თუ ჩეხი.

მილან ბაროშმა ამ სეზონში 43 მატჩი ითამაშა და მწვრთნელმა 22-ჯერ შეცვალა, სწორედ ამის გამო დაიჩივლა ფორვარდმა ჩეხურ გაზეთთან ინტერვიუში: „რაფაელ ბენიტესთან კონფლიქტი არ მქონია და ამჟამადაც ნორმალური ურთიერთობა მაქვს, მაგრამ გული მწყდება, როცა სათადარიგოთა სკამზე ვზივარ. არადა, ვფიქრობ, რომ კარგ ფორმაში ვარ. მე თამაში მსურს და მინდა, ჩემი ჯანი გუნდს ბოლომდე მოვახმარო. მთელი მატჩის განმავლობაში თუ ვითამაშებ, მხოლოდ ამ შემთხვევაში გავხდები უკეთესი".

მილან ბაროში მწვრთნელს უკვე მეორედ აკრიტიკებს. პირველად ჩეხმა ლიგის თასის ფინალის შემდეგ დაიჩივლა, რადგან კარდიფში, „ჩელსისთან" საფინალო მატჩში ბენიტესმა ძირითად შემადგენლობაში არ ათამაშა და ფერნანდო მორიენტესის ნაცვლად შეუშვა. მაშინ ზოგიერთმა ინგლისურმა გაზეთმა გაავრცელა ცნობა, თითქოს მილან ბაროში კარდიფის სასტუმროში მწვრთნელის გადაწყვეტილების გამო გაცოფებულა, ბენიტესს კი უთქვამს, აქ ლაპარაკს გირჩევნია, ენერგია მომდევნო მატჩებისთვის შეინახოო.

შესაძლოა, 23 წლის მილან ბაროში „ლივერპულმა" ამ ზაფხულს გაასხვისოს, თავად ფეხბურთელი კი ამბობს: „არასდროს მითქვამს, რომ წასვლას ვაპირებ. შემოთავაზებები მაქვს, მაგრამ ეს ჩემს აგენტ პაველ პაშკას საქმეა. აქედან თუ წავალ, ისეთ გუნდში გადავალ, რომელიც ევროთასებზე მუდმივად თამაშობს და დიდი მიზნებისთვის იბრძვის".

მოგეხსენებათ, მილან ბაროშის გადაბირებით „ვალენსია" და „ფიორენტინა" არიან დაინტერესებულნი, ჩეხეთში კი „ევერტონსაც" ახსენებენ. ამის თაობაზე ფორვარდმა განაცხადა: „ვერაფერს ვიტყვი. ყველაფერი სეზონის ბოლოს გაირკვევა. ამჟერად მხოლოდ ჩემპიონთა ლიგის მოგებაზე ვოცნებობ".

**მაშა ხუციშვილი**



დიეგო პერესმა (მარცხნივ) და მონაკოელებმა სტუმრებთან ვერაფერი გააწყვეს

# სედანი და სიტონი

## საფრანგეთი

**თასის ნახევარფინალი**

***ოსერი* 2:1 ნიმი**

1:0 ბ. კალუ (46პ), 2:0 ტაინიო (77), 2:1 ვერშავე (90)

**მონაკო 0:1 *სედანი***

0:1 სიტონი (74)

**მეორე დივიზიონის** მეხუთეადგილოსანმა „სედანმა" სტუმრად სძლია „მონაკოს" და საფრანგეთის თასის ფინალში მეოთხედ გავიდა — აქედან ორჯერ (1956, 1961) თასი მოიგო, 1999-ში კი „ნანტთან" დამარცხდა.

დიდიე დეშანმა ძირითადი შემადგენლობის სამი ფეხბურთელი — გაელ გივე, იაროსლავ პლასილი და ხავიერ სავიოლა — თავიდანვე არ ათამაშა, რამაც სედანელებს უპირატესობა მიანიჭა.

სტუმრებს ანგარიშის გახსნა მეოთხე წუთზევე შეეძლოთ, მაგრამ მარკუს მოკაკემ მომენტი გააცუდა. ამის შემდეგ ჯერ მიკაელ სიტონი, მერე კი ლორან განიე გავიდნენ ფლავიო რომასთან პირისპირ: პირველ შემთხვევაში „მონაკოს" მეკარემ ივარგა და სიტონს არ გაატანინა, ხოლო განიემ ბურთი კარს გვარიანად ააცილა.

მეორე ტაიმში დეშანმა სცადა, იაროსლავ პლასილით და შაბანი ნონდათი გაეძლიერებინა გუნდი, თუმც „სედანს" მაინც ვერ აჯობა — მატჩის დასრულებამდე თხუთმეტი წუთით ადრე მიკაელ სიტონმა ფლავიო რომას ცაციით გაუტანა და მოგვიანებით მეორის გატანაც მართებდა, მაგრამ ამჯერად „მონაკოს" მეკარემ იყოჩაღა.

დეშანმა მერე სავიოლაც შეუშვა მოედანზე და მასპინძლებმა მეტოქე ბოლო წუთებზე ალყაშიც მოაქციეს, მაგრამ შაბანი ნონდას დარტყმული ბურთი მცველმა ენინმა კარის ხაზზე მოიგერია და ეს იყო „მონაკოს" ბოლო საგოლე მომენტი.

„სედანი" ფინალში „ოსერს" შეხვდება, რომელმაც წინადღით „ნიმს" აჯობა. ფინალი 4 ივნისს, „სტად დე ფრანსზე" გაიმართება.

**მაშა ხუციშვილი**



# ყველაზე ჩეხური ჩეხი

## ნედველის ძმაკაცი და ჰაშეკის მოტრფიალე კარში ვერ ეტევა

*ლონდონის „ჩელსის“ მეკარე პეტრ ჩეხი უნიკალური კაცია, რადგან „მშრალი სერიის“ ავტორი ორ სხვადასხვა ჩემპიონატში გახდა. ჯერ კიდევ ჩეხეთში თამაშისას, მან თავისი ქვეყნის რეკორდი დაამხო, რომელსაც თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში ვერავინ შესწვდა — ეს მიღწევა ბრატისლავის „სლოვანის“ მეკარე თეოდორ რაინმანს ეკუთვნოდა. მან 769 წუთის განმავლობაში შეინახა კარი მშრალად. 2001-2002 წლების სეზონში, როცა პეტრ ჩეხი პრაღის „სპარტაში“ იყო, რაინმანის მიღწევა გააუმჯობესა — 20 აგვისტოდან 17 ნოემბრამდე 903 წუთის მანძილზე არ გაუშვია ბურთი. ამას ჩემპიონთა ლიგის მატჩებსაც თუ მივათვლით, 1120 წუთი გამოვა*

**პეტრ ჩეხმა,** როგორც „სპარტაში“, „ჩელსიშიც“ მოახერხა და ზედიზედ ათ შეხვედრაში ბურთი კარიდან არ გამოუტანია. თავად მეკარეს რეკორდი დიდად არ აღარებს: „სტატისტიკისთვის ეს ალბათ, ფასეულია, მაგრამ მე მირჩევნია, ვითამაშო გუნდში, რომელიც 5:3 მოიგებს. ჩეხური რეკორდი მეკუთვნის, თუმცა მერჩივნა, სხვა ჯილდოები მომეგო“.

22 წლის ჩეხი ქალაქ პლზენში დაიბადა, სადაც „შკოდას“ საავტომობილო ქარხანაა. ამ ქარხანაში მუშაობს მამამისი ვაცლავი, რომელიც ჯეელობაში თავისი ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო ათჭიდელი იყო. სწორედ მამის სპორტსმენობამ განსაზღვრა პეტრ ჩეხის მომავალი, რომელიც ბავშვობაში ჰოკეის ეტრფოდა. პატარა პეტრს თურმე დომინიკ ჰაშეკზე აბოდებდა და ადგილობრივ გუნდ „ლასსელსბერგერში“ თამაშზე ოცნებობდა. ოცნება ვერ აიხდინა, რადგან ჰოკეისტის სამოსი მშობლებს ძვირი უჯდებოდათ და ათი წლის ბიჭი ფეხბურთის გუნდ „ვიქტორიაში“ მიიყვანეს. ჩეხი თავიდან მარცხენა ფორვარდის პოზიციაზე თამაშობდა, მაგრამ ერთხელ მეკარე ავად გახდა და მის ნაცვლად კარში ჩადგა. აქედან დაიწყო მისი მეკარეობაც.

პეტრ ჩეხის პირველი მწვრთნელი იოზეფ ზალოუდეკი იყო, რომლის გამოზრდილიცაა თვით პაველ ნედვედი. ნედვედი ჩეხზე ათი წლით უფროსია, მაგრამ ისინი კარგი მეგობრები არიან.

პლზენის გარეუბანი კოშეტკა, სადაც ვაცლავ ჩეხის ოჯახი ცხოვრობს, „ჩელსის“ მეკარეს ყველაზე მეტად უყვარს, შვებულებისას მეუღლე მარტინასთან ერთად იქაურ ბუნებაში ისვენებს-ხოლმე და ფანებს ემალება. პეტრ ჩეხის სიმამრი ირჟი დოლეიში თავის დროზე ძიუდოისტი იყო და ნაკრების სახელით არაერთ საერთაშორისო ტურნირზე გამოსულა. სწორედ მომავალი სიმამრის სპორტულ კლუბში ვარჯიშისას გაიცნო პეტრმა მარტინა.

„ვიქტორიადან“ 17-წლამდელთა ნაკრებში მიიწვიეს და ამსტერდამში გამართულ შეჯიბრში თავი გამოიჩინა. ჩეხეთის ამჟამინდელი ნაკრების მწვრთნელის, კარელ ბრიუკნერის თანაშემწემ, მიროსლავ ბერანეკმა 17 წლის პეტრ ჩეხი ბლშანის „ჰმელში“ გადაიყვანა. სადებიუტო მატჩი „სპარტას“ წინააღმდეგ „ჰმელმა“ 1:3 წააგო და ამის მიუხედავად, ახალწვეული მეკარე გუნდში საუკეთესოდ აღიარეს.

„როდესაც პეტრი პირველად შემოვიდა გასახდელში, კარში ვერ შემოეტია და მაშინ ვთქვი, აი, ახლა კი ნაღდი მეკარე გვყავს-მეთქი“ — გაიხსენა ბერანეკმა.

2001 წელს ჩეხი „ჰმელიდან“ პრაღის „სპარტაში“ გადავიდა და იმავე სეზონში, მეოთხე ტურიდან ძირითადი მეკარე გახდა.

2002 წელს ჩეხეთის 21-წლამდელთა ნაკრებში ევროპის ჩემპიონი გახდა: ფრანგებთან, ფინალურ მატჩში, პენალტების სერიაში, ორი პენალტი მოიგერია და გმირად [illegible].

„სპარტადან“ ფრანგულმა „რენმა“ წაიყვანა და ეს გუნდი ჩეხ მეკარეს უნდა უმადლოდეს, რომ ორ სეზონში პირველი დივიზიონიდან არ გავარდა. შარშან, „ჩელსიში“ მისულმა ჟოზე მაურინიომ პეტრ ჩეხი „რენს“ წაჰგვარა და მეკარემაც ლონდონურ კლუბთან ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ამ ხუთი წლის განმავლობაში 10 მილიონ 300 ათას ევროს მიიღებს.

საინტერესოა ის, რომ პეტრ ჩეხი პრემიერლიგაში რამდენიმე წლით ადრეც უნდა გადასულიყო, როცა „არსენალს“ სურდა მისი ყიდვა, მაგრამ მაშინ სამუშაო ვიზა ვერ მიიღო. თავის მხრივ, „ინტერი“ და „ბარსელონაც“ ცდილობდნენ მის გადაბირებას, თუმცა, როგორც თვითონ ამბობს, ინგლისმა ძალიან მოხიბლა: „ჩემპიონთა ლიგის მატჩებს რომ ვუყურებდი, ინგლისური გუნდების თამაშმა და იქაურმა გარემომ მომხიბლა. ამიტომაც ვარჩიე პრემიერლიგა“.

„ჩელსიში“ გადასული პეტრ ჩეხი ჟოზე მაურინიომ [illegible] პირველივე მატჩში, „[illegible]თან“, ძირითად შემადგენლობაში გაამწესა და ამის შემდეგ კარლო კუდიჩინი სათადარიგოდ იქცა.

„კუდიჩინიმ სამი სეზონი გაატარა „ჩელსიში“ და ქომაგებს ის ძალიან უყვარდათ. მახსოვს, კარის უკანა ტრიბუნიდან როგორ [illegible]ზიანებდნენ შეძახილებით: „კარლო, კარლო!“ ჩემთვის მთავარი იყო, დამემტკიცებინა, რომ უკეთესი მეკარე ვარ და მგონი, ეს შევძელი კიდეც“.

**ვაჟა ხუციშვილი**

# რონალდო უკვე გაშორდა



დანიელა ჩიკარელისა და რონალდოს ერთობლივი ღიმილი უკვე წარსულია

**გუშინდელ** „სარბიელში“ გამცნეთ, ბრაზილიელი რონალდო თავის ახალშერთულ მეუღლეს, ტოპმოდელ დანიელა ჩიკარელის ეყრებაო და.. როგორც გუშინ გახდა ცნობილი, „რეალის“ ფორვარდისა და მომხიბლავ დანიელას 86-დღიანი ცოლქმრული იდილია, უკვე წარსულია.

„რონალდო და დანიელა ჩიკარელი განქორწინების ფაქტს ოფიციალურად ადასტურებენ. სხვა დეტალების გამოქვეყნებისგან კი ისინი თავს იკავებენ“ — ნათქვამია ამ მშრალ, მაგრამ მნიშვნელობით ტევად კომუნიკეში, რომელიც „დაშეულ“ ბრაზილიურ მედიას, აწ უკვე ყოფილი წყვილის ადვოკატებმა მიაწოდეს.

შეგახსენებთ, რონალდოსთვის ეს მეორე ქორწინებაა, რომელიც კრახით დასრულდა — პირველად მადრიდელი „გალაქტიკოსი“ მილენა დომინგუშთან ერთად იყოფდა სარეცელს. როცა რონიმ გოგო მიატოვა, მილენას დრო უქმად არ დაუკარგავს, მან „რეალის“ ყოფილ ფეხბურთელ დავიდ აგანსოსთან გააბა რომანი და დღესაც კი მასთანაა. რონალდო კი...

რონალდო ისევ უცოლოდაა.

**ლადო ხომერიძე**



# გვარდიოლას ციხე მიუსაჯეს

**კატალონიური** „ბარსელონას“ ყოფილ ლეგენდას, ხოსეპ გვარდიოლას იტალიის სასამართლომ 7 თვით ციხე და ორი ათასი ევროს გადახდა მიუსაჯა.

საქმე ისაა, რომ ჩრდილოაპენინური ბრეშას ტრიბუნალმა გვარდიოლა, ამავე ქალაქის კლუბში თამაშისას აკრძალული სტიმულატორების მიღებაში ამხილა.

„მე „ბრეშას“ ექიმების დასკვნას ვერაფრით დავეთანხმები. ნანდროლონი არასდროს არ გამომიყენებია“ — კატეგორიულად აცხადებს გვარდიოლა.

ასეა თუ ისე, განაჩენი გამოტანილია. ისე კი, ხოსეპ გვარდიოლა ახლა ყატარში აგორებს ბურთს და იტალიაში ჩასვლა, რა თქმა უნდა, მოუწევს. თუ არა და...

**ლადო ხომერიძე**

# მორჩა, პრანდელი ბრუნდება



გასულ ზაფხულს, იტალიის მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე სასურველი მწვრთნელი ჩეზარე პრანდელი ფეხბურთს უბრუნდება.

მოგეხსენებათ, „პარმას" ყოფილმა თავკაცმა ამ სეზონის დასაწყისში „რომა" ჩაიბარა, მაგრამ პოსტი რამდენიმე კვირაში დატოვა, ცოლის ავადმყოფობის გამო. ახლა კი სპეციალისტმა ოჯახური პრობლემები ეტყობა, მოაგვარა და სურს, კვლავ ძველ და საყვარელ საქმეს მოჰკიდოს ხელი.

„ამჟამად კონტაქტი არავისთან მაქვს. უბრალოდ, მსურველები არ ჩანან. როგორც ჩანს, თუ ფეხბურთს ცოტა ხნით ჩამოშორდი, მყისვე გივიწყებენ. თუმც იმედი მაქვს, მალე ისევ გამიხსენებენ. რაც შეეხება „ფიორენტინას", ფლორენციელები მართლაც მიკავშირდებოდნენ, მაგრამ ეს ადრე იყო" — თქვა პრანდელიმ.

გარდა ამისა, მან ალბერტო ჯილარდინოზეც ილაპარაკა. ჯილარდინოს პრანდელის აღზრდილიც კი შეიძლება ვუწოდოთ. ისინი ერთად ჯერ კიდევ „ვერონაში", ხოლო შემდეგ „პარმაში" მუშაობდნენ. პრანდელი ახალგაზრდა ფორვარდს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებს.

ჩეზარე პრანდელი: „ჩვენ კვლავ კარგი ურთიერთობა გვაქვს. ალბერტო ჩემს რჩევებს ყოველთვის ითვალისწინებს. გასულ ზაფხულს ვუთხარი, რომ კიდევ ერთი სეზონი გაეტარებინა „ენიო ტარდინიზე" და ასეც მოხდა. „პარმა" მასში 35 მილიონს ითხოვს. ეს დიდი ფულია, მაგრამ ჯილარდინოს მსურველები რამეს აუცილებლად მოიფიქრებენ. მერწმუნეთ, იგი საუკეთესო ფორვარდი იქნება მომავალი 10 წლის განმავლობაში. იტალიის ნაკრებს კი მასთან ერთად მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების მოგება ძალუძს".

**გიორგი ძაძამიძე**

# ჰანოვერმა ვერტმფრენი იყიდა

**მიუნხენის** „ბაიერნის" ირანელი ფორვარდი ვაჰიდ ჰაშემიანი „ჰანოვერში" გადავიდა. 29 წლის ფეხბურთელმა ახალ გუნდთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა, გარიგების ფინანსური მხარე კი უცნობია.

მოგეხსენებათ, [illegible] ჰაშემიანი „ბაიერნში" შარშან, „ბოხუმიდან" [illegible] სანაცვლოდ გადაიბირეს, მაგრამ „ვერტმფრენმა" (ჰაშემიანის მეტსახელია) [illegible] გუნდის ძირითად შემადგენლობაში ადგილი ვერ დაიმკვიდრა — ერთ სეზონში ირანელმა მხოლოდ ცხრა არასრული მატჩი ითამაშა. ბუნდესლიგაში და ჩემპიონთა ლიგაში გოლი არ გაუტანია. მხოლოდ ერთხელ, გერმანიის თასზე „ფრაიბურგთან" გამოირჩა, როცა „ბაიერნმა" 7:0 მოიგო.

ვაჰიდ ჰაშემიანი 1991-2002 წლებში „ჰამბურგში" თამაშობდა, საიდანაც „ბოხუმში" აღმოჩნდა და სწორედ ამ გუნდში გაითქვა სახელი. 2002-ში „ბოხუმი" ბუნდესლიგაში აღზევდა, „ვერტმფრენმა" კი ორ სეზონში ვამარიულ 66 შეხვედრაში 26 გოლი მიითვალა.

**ვაჟა ხუციშვილი**



ვაჰიდ ჰაშემიანი




**თურქულ** „ფენერბაჰჩეს" ბერლინის „ჰერტას" გამთამაშებელ მარსელინიოთი სურს გაძლიერება. სტამბოლური კლუბის წარმომადგენლები უკვე შეხვდნენ ბრაზილიელის აგენტ ლუიშ ტავერას. თუ „ჰერტა" ჩემპიონთა ლიგის საგზურს ვერ მოიპოვებს, მარსელინიო შესაძლოა, „ფენერში" გადასვლას მაშინ დათანხმდეს.

**ესპანური** „რეალის" ფრანგი ლეგიონერი ზინედინ ზიდან გუნდში კონტრაქტის ამოწურვამდე, 2007 წლის ზაფხულამდე დარჩება. „ბოლო ორი წელია, არაფერი მოგვიგია და ახლა წასვლა მართებული არ იქნება. კონტრაქტის დასრულებამდე აქ ვიქნები და ბოლომდე დავიხარჯები" — აღნიშნა ზიდანმა.

**გერმანული** და მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდა ფრანც ბეკენბაუერი 2006 წლის მუნდიალის ფავორიტებს ასახელებს. „ყველაზე ძლიერი შემადგენლობა ბრაზილიასა და არგენტინას ჰყავთ. თუმც არც გერმანიას ჩამოვწერ და სხვა გუნდებიც ძალიან ძლიერები არიან. ვფიქრობ, წინ ერთობ ლამაზი ტურნირი გველის" — თქვა ბეკენბაუერმა.

**იტალიური** „უდინეზეს" ფორვარდი ვინჩენცო იაკინტა დამდეგ ზაფხულს ელის, მას რომელიმე გრანდში გადაბარგების იმედი აქვს. „ვფიქრობ, უკვე კარგა ხანია, ამისთვის მზად ვარ. წინადადებებს ველოდები და თითოეულ მათგანს განვიხილავ" — თქვა 25 წლის ფორვარდმა.

**ინგლისური** „ლივერპული" გერმანული „ნიურნბერგისა" და ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირ მარეკ მინტალით დაინტერესდა. შეგახსენებთ, რომ 27 წლის სლოვაკს უკვე 23 გოლი აქვს გატანილი და არაერთი გუნდის ყურადღების ცენტრშია.

**გერმანული** „არმინიას" თავკაცის პოსტს უვე რაპოლდერის ნაცვლად, ბოლო ტურებში ფრანკ გეიდეკი დაიკავებს, შემდეგი სეზონიდან კი ბილეფილდელებს გუნდის ამჟამინდელი გენერალური მენეჯერი თომას ფონ ჰესენი ჩაიბარებს.

**იტალიურმა** „ფიორენტინამ" ბერგამოს „ატალანტას" ორ ახალგაზრდა ფეხბურთელს, ანდრეა ლაცარისა და რიკარდო მონტოლივოს დაადგა თვალი. ფლორენციელებმა უკვე დაიწყეს ამ ტრანსფერებზე მოლაპარაკება, თუმც ლაცარისა და მონტოლივოს მსურველები სხვებიც არიან.

**ინგლისური** „ნიუკასლის" პრეზიდენტმა ფრედი შეპარდმა აღნიშნა, რომ მას გრემ სუნესის შემცვლელად მომავალში „კაჭკაჭთა" კაპიტნის, ალან შირერის ნახვა უნდა. როგორც ამბობენ, მშობლიური კლუბის გაწვრთნაზე უარს კარიერის დასრულების შემდეგ, არც შირერი იტყვის.

**გერმანული** „ბაიერნი" სეზონის ბოლოს ხუთ ფეხბურთელს — სამუელ კუფურს, რობერტ კოვაჩს, თომას ლინკეს, ალექსანდრ ციკლერს და ვაჰიდ ჰაშემიანს დაემშვიდობება. ამ უკანასკნელმა კი უკვე იპოვა ახალი კლუბი, იგი „ჰანოვერში" ჩაირიცხება.

**იტალიური** „ინტერის" მფლობელმა მასიმო მორატიმ აღნიშნა, გუნდს მომავალ სეზონშიაც რობერტო მანჩინი გაწვრთნისო. „მანჩინიმ კარგად იმუშავა და იმედი გვაქვს, ამ ყველაფერს შედეგებიც მოჰყვება" — განაცხადა მორატიმ.

**ინგლისური** „არსენალის" თავკაცმა არსენ ვენგერმა უარყო ჭორები, თითქოსდა იგი გუნდში პოლ ლე გუენის მიწვევას აპირებს. „მას კარგად ვიცნობ და ნამდვილად ჩინებული სპეციალისტია, მაგრამ ჭორებს ნუ დაუჯერებთ" — მოკლედ განმარტა ვენგერმა.

**რუმინელ** ფორვარდ ვიორელ მოლდოვანს ფეხის ტრავმა აქვს და ეროვნულ ნაკრებს 2006 წლის მუნდიალის მომავალ ორ შესარჩევ შეხვედრაში ვერ დაეხმარება. შეგახსენებთ, რომ 4 ივნისს რუმინელები ჰოლანდიას ხვდებიან, ხოლო 8 ივნისს სომხეთს.

**განელი** მცველი სამუელ კუფური ეროვნული ნაკრებიდან მოკვეთეს. „ბაიერნის" ფეხბურთელს აფრიკელთა სერბ თავკაც რატომირ დუჯკოვიჩთან უთანხმოება აქვს და ბოდიშის მოხდასაც არ აპირებს.

**ფრანგული** „ლიონის" ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ სიდნეი გოვუ იქნება, ფაქტობრივად, ერთადერთი ფეხბურთელი, რომელსაც გუნდი გაასხვისებს. ვთქვათ ისიც, რომ გოვუს მთავარ მსურველად ინგლისური „ნიუკასლი" სახელდება.

**ინგლისის** ნაკრები მაისის ბოლოს დაგეგმილ ამერიკის ტურნეზე „მანჩესტერის" ფეხბურთელების — რიო ფერდინანდისა და უეინ რუნის გარეშე წავა. ფერდინანდს ძველი ტრავმა აწუხებს, ხოლო რუნი გადაღლილია.

**არგენტინის** ნაკრების ნახევარმცველი ხუან სებასტიან ვერონი დარწმუნებულია, რომ იგი „ინტერში" დარჩება, თუმცა მიიჩნევს, რომ სანაცვლოდ მილანელები ადრიანოს დათმობენ და ლონდონელებისგან დამატებით სოლიდურ თანხას მიიღებენ. ამ განცხადებაზე კლუბებს კომენტარი ჯერ არ გაუკეთებიათ.

**ესპანური** „ბარსელონას" შვედმა ფორვარდმა ჰენრიკ ლარსონმა ექვსთვიანი პაუზის შემდეგ ვარჯიში განაახლა. „ამ დღეს სულმოუთქმელად ველოდი. ბედნიერი ვარ, რომ როგორც იქნა, თამაშს შევძლებ" — თქვა გახარებულმა ლარსონმა.

**იტალიურ** „მილანს" სეზონის ბოლოს ორი ფეხბურთელი დატოვებს — ვიკაშ დორასო სავარაუდოდ, სევილიის „ბეტისში" გადავა, ხოლო კრისტიან ბროკი გენუის „სამპდორიაში".

## ავსტრია

მაქსბუნდესლიგა
გადადებული მატჩები
ადმირა 0:1 რაპიდი
აუსტრია 4:0 პაშინგი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რაპიდი | 32 | 20 | 8 | 4 | 61:22 | 68 |
| აუსტრია | 31 | 17 | 10 | 4 | 55:17 | 61 |
| გრაცერი | 31 | 17 | 6 | 8 | 48:25 | 57 |
| პაშინგი | 32 | 17 | 6 | 9 | 50:42 | 57 |
| მატერსბურგი | 32 | 11 | 8 | 13 | 43:51 | 41 |
| ტიროლი | 32 | 10 | 9 | 13 | 44:44 | 39 |
| ადმირა | 32 | 10 | 6 | 16 | 33:55 | 36 |
| შტურმი | 32 | 8 | 8 | 16 | 28:43 | 32 |
| ზალცბურგი | 32 | 7 | 7 | 18 | 30:48 | 28 |
| ბრეგენცი | 32 | 4 | 8 | 20 | 26:71 | 20 |

## შვეიცარია

სუპერლიგა. XXXII ტური
ბაზელი 3:1 სენტ გალენი
შაფჰაუზენი 2:1 ციურიხი
თუნი 1:1 იანგ ბოისი
ქსამაქსი 1:1 აარაუ

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაზელი | 32 | 20 | 7 | 5 | 78:41 | 67 |
| თუნი | 31 | 17 | 5 | 9 | 63:35 | 56 |
| გრასჰოპერი | 30 | 10 | 13 | 7 | 40:42 | 43 |
| იანგ ბოისი | 31 | 10 | 12 | 9 | 52:48 | 42 |
| ციურიხი | 31 | 10 | 9 | 12 | 45:53 | 39 |
| ქსამაქსი | 29 | 10 | 7 | 12 | 34:37 | 37 |
| სენტ გალენი | 31 | 7 | 11 | 13 | 42:54 | 32 |
| აარაუ | 31 | 7 | 10 | 14 | 41:60 | 31 |
| შაფჰაუზენი | 32 | 6 | 11 | 15 | 34:55 | 29 |

Copa Toyota Libertadores '2005

## ლიბერტადორესის თასი 2005

II ჯგუფი. V ტური
LDU კიტო (ეკვადორი) 1:1 დანუბიო (ურუგვაი)
სანტოსი (ბრაზილია) 6:0 ბოლივარი (ბოლივია)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სანტოსი | 5 | 3 | 0 | 2 | 12:10 | 9 |
| ბოლივარი | 5 | 2 | 1 | 2 | 8:8 | 7 |
| LDU კიტო | 5 | 2 | 1 | 2 | 6:9 | 7 |
| დანუბიო | 5 | 2 | 0 | 3 | 8:7 | 6 |

III ჯგუფი. V ტური
კილმესი (არგენტინა) 1:1 უნივერსიდად დე ჩილე (ჩილე)
სან პაულუ (ბრაზილია) 3:0 სთრონგესტი (ბოლივია)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სან პაულუ | 5 | 2 | 3 | 0 | 13:9 | 9 |
| უნივერსიდად დე ჩილე | 5 | 2 | 2 | 1 | 8:8 | 8 |
| სთრონგესტი | 5 | 1 | 2 | 2 | 6:7 | 5 |
| კილმესი | 5 | 1 | 1 | 3 | 7:10 | 4 |

## მექსიკა

კლაუსურა. პლეი ოფი
მეოთხედფინალი. პირველი მატჩები
ტიგრესი 3:1 მორელია | მონტერეი 0:0 კრუზ ასული

რეკლამა
სარბიელ–ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

სარბიელი და კროკო
წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **15 მაისი** | | | | | | |
| 18:00 | 3 | ბირმინგემი-არსენალი | 3.3 | 3.3 | 2.05 | 1.64 | 1.26 | 1.26 |
| 18:00 | 5 | ბოლტონი-ევერტონი | 1.95 | 3.3 | 3.5 | 1.22 | 1.25 | 1.69 |
| 18:00 | 6 | ჩარლტონი-კრ. პალასი | 3.1 | 3.4 | 2.1 | 1.62 | 1.25 | 1.29 |
| 18:00 | 7 | ფულემი-ნორვიჩი | 2.9 | 3.4 | 2.15 | 1.56 | 1.23 | 1.31 |
| 18:00 | 8 | ლივერპული-ასტონ ვილა | 1.7 | 3.5 | 4.6 | 1.14 | 1.24 | 1.98 |
| 18:00 | 9 | სიტი-მიდლსბრო | 2.1 | 3.2 | 3.2 | 1.26 | 1.26 | 1.6 |
| 18:00 | 10 | ნიუკასლი-ჩელსი | 3.2 | 3.3 | 2.1 | 1.62 | 1.26 | 1.28 |
| 18:00 | 11 | საუთჰემპტონი-მანჩესტერი | 2.3 | 3.6 | 2.6 | 1.4 | 1.22 | 1.5 |
| 18:00 | 12 | ტოტენჰემი-ბლექბერნი | 1.6 | 3.6 | 5.0 | 1.1 | 1.21 | 2.09 |
| 18:00 | 13 | ვესტ ბრომვიჩი-პორტსმუთი | 1.6 | 3.6 | 5.0 | 1.1 | 1.21 | 2.09 |
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **14 მაისი** | | | | | | |
| 15:15 | 600 | ვესტ ჰემი-იფსვიჩი | 2.2 | 3.3 | 2.9 | 1.32 | 1.25 | 1.54 |
| | | **15 მაისი** | | | | | | |
| 15:00 | 601 | პრესტონი-დერბი | 2.1 | 3.3 | 3.1 | 1.28 | 1.25 | 1.59 |
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | |
| | | **13 მაისი** | | | | | | |
| 22:45 | 603 | ჰარტლპული-ტრანმერი | 2.35 | 3.2 | 2.75 | 1.35 | 1.26 | 1.47 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | **14 მაისი** | | | | | | |
| 20:15 | 604 | ლინკოლნი-მაკლსფილდი | 2.1 | 3.2 | 3.2 | 1.26 | 1.26 | 1.6 |
| | | **15 მაისი** | | | | | | |
| 20:15 | 605 | ნორთჰემპტონი-საუთენდი | 2.1 | 3.3 | 3.1 | 1.28 | 1.25 | 1.59 |
| | | **ინგლისი. კონფერენსი** | | | | | | |
| | | **14 მაისი** | | | | | | |
| 22:30 | 606 | კარლაილი-სტივენეიჯი | 2.1 | 3.2 | 3.2 | 1.26 | 1.26 | 1.6 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **14 მაისი** | | | | | | |
| 18:00 | 14 | დანდი-ინვერნესი | 1.95 | 3.3 | 3.3 | 1.22 | 1.22 | 1.64 |
| 18:00 | 16 | ჰიბერნიანი-აბერდინი | 2.05 | 3.1 | 3.2 | 1.23 | 1.24 | 1.57 |
| 18:00 | 17 | კილმარნოკი-ლივინგსტონი | 2.2 | 3.2 | 2.9 | 1.3 | 1.25 | 1.52 |
| 18:00 | 18 | რეინჯერსი-მოზერუელი | 1.15 | 6.0 | 12.0 | 1.0 | 1.04 | 4.0 |
| | | **15 მაისი** | | | | | | |
| 17:00 | 15 | ჰარტსი-სელტიკი | 7.5 | 4.3 | 1.3 | 2.73 | 1.1 | 1.0 |
| 18:00 | 19 | დანდი იუნაიტედი-დანფერმლაინი | 1.9 | 3.2 | 3.55 | 1.19 | 1.23 | 1.68 |
| | | **გერმანია. I ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **14 მაისი** | | | | | | |
| 17:30 | 20 | ბაიერნი-ნიურნბერგი | 1.3 | 4.5 | 9.0 | 1.0 | 1.13 | 3.0 |
| 17:30 | 22 | ბოხუმი-შტუტგარტი | 4.2 | 3.5 | 1.75 | 1.9 | 1.23 | 1.16 |
| 17:30 | 24 | ჰანოვერი-ჰამბურგი | 2.9 | 3.4 | 2.15 | 1.56 | 1.23 | 1.31 |
| 17:30 | 25 | ჰანზა-არმინია | 1.8 | 3.4 | 4.0 | 1.17 | 1.24 | 1.83 |
| 17:30 | 26 | მაინცი-კაიზერსლაუტერნი | 2.15 | 3.2 | 3.1 | 1.28 | 1.26 | 1.57 |
| 17:30 | 27 | მიონხენგლადბახი-ჰერტა | 3.0 | 3.4 | 2.05 | 1.59 | 1.21 | 1.27 |
| 17:30 | 28 | შალკე-დორტმუნდი | 1.7 | 3.3 | 4.5 | 1.12 | 1.23 | 1.9 |
| 17:30 | 29 | ვერდერი-ფრაიბურგი | 1.2 | 6.0 | 10.0 | 1.0 | 1.07 | 3.75 |
| 17:30 | 30 | ვოლფსბურგი-ლევერკუზენი | 2.85 | 3.4 | 2.15 | 1.55 | 1.22 | 1.31 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **15 მაისი** | | | | | | |
| 17:00 | 32 | ალენი-ესენი | 1.8 | 3.6 | 3.4 | 1.2 | 1.17 | 1.74 |
| 17:00 | 33 | აუე-ზაარბრიუკენი | 1.9 | 3.2 | 3.6 | 1.19 | 1.24 | 1.69 |
| 17:00 | 34 | ბურგჰაუზენი-ალემანია | 2.45 | 3.4 | 2.4 | 1.42 | 1.21 | 1.4 |
| 17:00 | 35 | კოტბუსი-აინტრახტი | 3.5 | 3.3 | 1.9 | 1.69 | 1.23 | 1.2 |
| 17:00 | 36 | დუისბურგი-კარლსრუე | 1.8 | 3.3 | 3.8 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| 17:00 | 37 | ფიურტი-მიუნხენი 1860 | 2.4 | 3.3 | 2.5 | 1.38 | 1.22 | 1.42 |
| 17:00 | 38 | ერფურტი-კიოლნი | 3.0 | 3.4 | 2.05 | 1.59 | 1.21 | 1.27 |
| 17:00 | 39 | ტრირი-დინამო | 1.65 | 3.5 | 4.8 | 1.12 | 1.22 | 2.02 |
| 17:00 | 40 | უნტერჰახინგი-ობერჰაუზენი | 1.7 | 3.5 | 4.2 | 1.14 | 1.21 | 1.9 |
| | | **ავსტრია. ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **14 მაისი** | | | | | | |
| 20:30 | 62 | ადმირა-მატერსბურგი | 2.0 | 3.3 | 3.2 | 1.24 | 1.23 | 1.62 |
| 20:30 | 63 | რაპიდი-ბრეგენცი | 1.15 | 6.0 | 12.0 | 1.0 | 1.04 | 4.0 |
| 20:30 | 64 | შტურმი-გრაცერი | 4.5 | 3.3 | 1.7 | 1.9 | 1.23 | 1.12 |
| 20:30 | 65 | ტიროლი-ზალცბურგი | 1.75 | 3.3 | 4.3 | 1.14 | 1.24 | 1.86 |
| | | **15 მაისი** | | | | | | |
| 17:30 | 66 | პაშინგი-ავსტრია | 2.45 | 3.3 | 2.5 | 1.4 | 1.23 | 1.42 |
| | | **ავსტრია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **13 მაისი** | | | | | | |
| 21:00 | 71 | ალტახი-გრატკორნი | 1.8 | 3.4 | 3.5 | 1.17 | 1.18 | 1.72 |
| 21:00 | 72 | კაფენბერგი-ლინცერი | 1.5 | 3.8 | 5.3 | 1.07 | 1.16 | 2.21 |
| 21:00 | 73 | რიდი-ლეობენი | 1.15 | 6.5 | 9.0 | 1.0 | 1.01 | 3.77 |
| 21:00 | 74 | უნტერზიბენბრიუნი-ავსტრია(ლ) | 1.95 | 3.3 | 3.2 | 1.22 | 1.21 | 1.62 |
| 21:00 | 75 | ვიორგლი-კერნტენი | 2.65 | 3.3 | 2.2 | 1.46 | 1.2 | 1.32 |
| | | **შვეიცარია. ჩელენჯლიგა** | | | | | | |
| | | **13 მაისი** | | | | | | |
| 21:30 | 86 | ვოლენი-კრინსი | 2.1 | 3.2 | 2.9 | 1.26 | 1.21 | 1.52 |
| 21:30 | 87 | ბულე-იუვენტუსი | 1.9 | 3.2 | 3.5 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| 21:30 | 88 | ბადენი-შო დე ფონი | 1.6 | 3.6 | 4.5 | 1.1 | 1.18 | 2.0 |
| | | **იტალია. სერია A** | | | | | | |
| | | **15 მაისი** | | | | | | |
| 17:00 | 94 | ბოლონია-ბრეშა | 2.15 | 2.6 | 3.9 | 1.17 | 1.38 | 1.55 |
| 17:00 | 95 | ფიორენტინა-ატალანტა | 1.6 | 3.5 | 5.0 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| 17:00 | 96 | ინტერი-ლივორნო | 1.3 | 4.5 | 8.5 | 1.0 | 1.12 | 2.94 |
| 17:00 | 97 | იუვენტუსი-პარმა | 1.25 | 4.5 | 10.0 | 1.0 | 1.11 | 3.1 |
| 17:00 | 99 | ლეჩე-მილანი | 4.8 | 3.5 | 1.6 | 2.02 | 1.2 | 1.09 |
| 17:00 | 101 | მესინა-კალიარი | 1.9 | 2.2 | 6.5 | 1.01 | 1.47 | 1.64 |
| 17:00 | 102 | პალერმო-რეჯინა | 2.55 | 1.7 | 6.0 | 1.01 | 1.78 | 1.32 |
| 17:00 | 103 | რომა-ლაციო | 2.8 | 1.9 | 4.0 | 1.13 | 1.64 | 1.28 |
| 17:00 | 104 | სიენა-კიევო | 2.0 | 2.9 | 3.85 | 1.18 | 1.31 | 1.65 |
| 17:00 | 105 | უდინეზე-სამპდორია | 2.15 | 2.9 | 3.5 | 1.23 | 1.33 | 1.58 |
| | | **იტალია. სერია B** | | | | | | |
| | | **13 მაისი** | | | | | | |
| 22:45 | 107 | ვერონა-პერუჯა | 2.4 | 2.6 | 3.2 | 1.24 | 1.37 | 1.43 |
| | | **14 მაისი** | | | | | | |
| 22:30 | 108 | ვიჩენცა-მოდენა | 2.5 | 2.4 | 3.1 | 1.22 | 1.38 | 1.35 |
| 22:30 | 109 | ალბინოლეფე-ტერნანა | 2.5 | 2.0 | 3.6 | 1.11 | 1.47 | 1.28 |
| 22:30 | 110 | არეცო-სალერნიტანა | 2.0 | 2.8 | 3.8 | 1.16 | 1.31 | 1.61 |
| 22:30 | 111 | ასკოლი-პესკარა | 1.9 | 2.5 | 5.0 | 1.07 | 1.37 | 1.66 |
| 22:30 | 112 | ბარი-პიაჩენცა | 2.2 | 2.3 | 3.6 | 1.12 | 1.36 | 1.4 |
| 22:30 | 113 | კატანია-ემპოლი | 2.5 | 2.2 | 3.1 | 1.17 | 1.38 | 1.28 |
| 22:30 | 115 | ტრევიზო-კროტონე | 1.5 | 3.3 | 6.5 | 1.03 | 1.21 | 2.18 |
| 22:30 | 116 | ჯენოა-ჩეზენა | 1.35 | 3.7 | 8.0 | 1.0 | 1.15 | 2.52 |
| | | **16 მაისი** | | | | | | |
| 22:45 | 117 | ტრიესტინა-ვენეცია | 1.25 | 4.0 | 8.0 | 1.0 | 1.08 | 2.66 |

## ესპანეთი. I დივიზიონი

**14 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 138 | ლევანტე-ბარსელონა | 5.5 | 3.6 | 1.55 | 2.17 | 1.2 | 1.08 |
| 22:00 | 143 | სევილია-რეალი | 3.1 | 3.0 | 2.2 | 1.52 | 1.28 | 1.26 |

**15 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 136 | ატლეტიკო-ბეტისი | 2.3 | 3.3 | 2.8 | 1.35 | 1.26 | 1.51 |
| 23:00 | 137 | ესპანიოლი-ვალენსია | 2.35 | 3.2 | 2.8 | 1.35 | 1.27 | 1.49 |
| 19:00 | 140 | მალიორკა-ბილბაო | 2.0 | 3.3 | 3.5 | 1.24 | 1.27 | 1.69 |
| 19:00 | 141 | ნუმანსია-ოსასუნა | 2.45 | 3.2 | 2.65 | 1.38 | 1.27 | 1.44 |
| 19:00 | 142 | რასინგი-ხეტაფე | 1.6 | 3.6 | 5.0 | 1.1 | 1.21 | 2.09 |
| 19:00 | 144 | სოსიედადი-მალაგა | 1.9 | 3.3 | 3.8 | 1.2 | 1.26 | 1.76 |
| 19:00 | 145 | ვილიარეალი-ალბასეტე | 1.2 | 5.5 | 10.0 | 1.0 | 1.07 | 3.54 |
| 19:00 | 146 | სარაგოსა-დეპორტივო | 2.0 | 3.3 | 3.5 | 1.24 | 1.27 | 1.69 |

## საფრანგეთი. I დივიზიონი

**14 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:15 | 158 | ნანტი-ლილი | 2.35 | 2.8 | 3.0 | 1.27 | 1.31 | 1.44 |
| 22:00 | 159 | პსჟ-სოშო | 1.75 | 3.3 | 4.3 | 1.14 | 1.24 | 1.86 |
| 22:00 | 160 | სტრასბური-მეცი | 2.0 | 2.6 | 4.7 | 1.13 | 1.4 | 1.67 |
| 22:00 | 161 | აიაჩო-ნიცა | 2.05 | 2.7 | 4.0 | 1.16 | 1.35 | 1.61 |
| 22:00 | 162 | ოსერი-მარსელი | 2.1 | 3.0 | 3.4 | 1.23 | 1.29 | 1.59 |
| 22:00 | 163 | კაენი-სტ.ეტიენი | 2.2 | 3.2 | 2.9 | 1.3 | 1.25 | 1.52 |
| 22:00 | 165 | ლანსი-რენი | 2.3 | 3.1 | 2.9 | 1.32 | 1.28 | 1.49 |
| 22:00 | 166 | მონაკო-ბასტია | 1.5 | 3.6 | 6.0 | 1.05 | 1.2 | 2.25 |

**15 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:00 | 167 | ლიონი-ბორდო | 1.65 | 3.3 | 5.0 | 1.1 | 1.24 | 1.98 |

## საფრანგეთი. II დივიზიონი

**13 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 169 | ამიენი-რეიმსი | 2.0 | 2.9 | 3.6 | 1.18 | 1.28 | 1.6 |
| 22:00 | 170 | ანჟე-ბრესტი | 1.9 | 3.2 | 3.4 | 1.19 | 1.21 | 1.64 |
| 22:00 | 172 | დიჟონი-შატორუ | 2.0 | 2.8 | 3.8 | 1.16 | 1.31 | 1.61 |
| 22:00 | 173 | გენგამი-გენიონი | 1.7 | 3.2 | 5.0 | 1.11 | 1.26 | 1.95 |
| 22:00 | 174 | ლავალი-მონპელიე | 2.05 | 2.9 | 3.5 | 1.2 | 1.29 | 1.58 |
| 22:00 | 175 | ლორიანი-გრენობლი | 1.65 | 3.3 | 4.7 | 1.1 | 1.22 | 1.93 |
| 22:30 | 176 | ნიორი-ლე მანი | 2.5 | 3.1 | 2.45 | 1.38 | 1.23 | 1.36 |

**14 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 171 | კლერმონი-კრეტეი | 1.95 | 2.9 | 3.7 | 1.16 | 1.27 | 1.62 |
| 22:00 | 177 | ტრუა-სედანი | 1.75 | 3.0 | 5.0 | 1.1 | 1.29 | 1.87 |

**16 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:15 | 178 | ნანსი-ლე ავრი | 1.75 | 3.1 | 4.3 | 1.11 | 1.24 | 1.8 |

## ბელგია. I დივიზიონი

**15 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 179 | ბრიუგე-ანდერლეხტი | 2.05 | 3.2 | 3.3 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| 17:00 | 180 | ბეერსხოტი-სტ.ტრუიდენი | 1.8 | 3.3 | 4.0 | 1.16 | 1.24 | 1.8 |
| 17:00 | 181 | გენკი-შარლერუა | 1.6 | 3.5 | 4.5 | 1.09 | 1.18 | 1.96 |
| 17:00 | 182 | ვესტერლო-ბევერენი | 2.1 | 3.3 | 2.95 | 1.28 | 1.22 | 1.55 |
| 17:00 | 183 | ბრიუსელი-სერკლი | 1.7 | 3.4 | 4.2 | 1.13 | 1.21 | 1.87 |
| 17:00 | 184 | მონსი-მუსკრონი | 1.9 | 3.3 | 3.7 | 1.2 | 1.25 | 1.74 |
| 17:00 | 185 | სტანდარდი-გენტი | 1.45 | 3.6 | 6.0 | 1.03 | 1.16 | 2.25 |
| 17:00 | 186 | ლოკერენი-ლიერსი | 1.7 | 3.4 | 4.5 | 1.13 | 1.23 | 1.93 |
| 17:00 | 187 | ლუვიე-ოსტენდე | 2.2 | 3.4 | 2.8 | 1.33 | 1.23 | 1.53 |

## ჰოლანდია. I დივიზიონი

**15 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16:30 | 188 | დენ ჰააგი-ბრედა | 2.1 | 3.3 | 2.95 | 1:28 | 1.22 | 1.55 |
| 16:30 | 189 | გრონინგენი-ჰერენვენი | 3.2 | 3.4 | 1.95 | 1.64 | 1.21 | 1.23 |
| 16:30 | 190 | ნაიმეგენი-გრააფსხაპი | 1.85 | 3.3 | 3.7 | 1.18 | 1.23 | 1.74 |
| 16:30 | 191 | პსვ-ფეიენოორდი | 1.7 | 3.4 | 4.2 | 1.13 | 1.21 | 1.87 |
| 16:30 | 192 | ვალვაიკი-დენ ბოსხი | 1.9 | 3.4 | 3.5 | 1.21 | 1.23 | 1.72 |
| 16:30 | 193 | როზენდალი-როდა | 2.7 | 3.2 | 2.35 | 1.46 | 1.25 | 1.35 |
| 16:30 | 194 | ტვენტე-ალკმაარი | 2.2 | 3.2 | 2.85 | 1.3 | 1.24 | 1.5 |
| 16:30 | 195 | უტრეხტი-ტილბურგი | 1.95 | 3.3 | 3.3 | 1.22 | 1.22 | 1.64 |
| 16:30 | 196 | ვიტესი-აიაქსი | 2.8 | 3.3 | 2.2 | 1.51 | 1.23 | 1.32 |

## ჰოლანდია. II დივიზიონი

**13 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 197 | ვეენდამი-სიტარდი | 1.65 | 3.5 | 4.5 | 1.12 | 1.2 | 1.96 |
| 22:00 | 198 | კამბური-ემენი | 1.5 | 3.6 | 5.3 | 1.05 | 1.16 | 2.14 |
| 22:00 | 199 | დორდრეხტი-ვოლენდამი | 2.4 | 3.4 | 2.45 | 1.4 | 1.21 | 1.42 |
| 22:00 | 200 | ეინდჰოვენი-ჰელმონდი | 2.6 | 3.4 | 2.3 | 1.47 | 1.22 | 1.37 |
| 22:00 | 201 | მაასტრიხტი-ექსელსიორი | 2.1 | 3.4 | 2.85 | 1.29 | 1.2 | 1.55 |
| 22:00 | 202 | სპარტა-ჰერაკლესი | 2.0 | 3.3 | 3.2 | 1.24 | 1.23 | 1.62 |
| 22:00 | 203 | ტელსტარი-აპელდორნი | 1.65 | 3.4 | 4.5 | 1.11 | 1.2 | 1.93 |
| 22:00 | 204 | ოსი-ჰაარლემი | 2.0 | 3.4 | 3.1 | 1.25 | 1.21 | 1.62 |
| 22:00 | 205 | ვენლო-იგლსი | 1.55 | 4.0 | 4.5 | 1.11 | 1.15 | 2.11 |

## პორტუგალია. სუპერლიგა

**14 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 207 | აკადემიკა-მორეირენსე | 1.75 | 3.5 | 4.0 | 1.16 | 1.21 | 1.86 |
| 22:45 | 208 | ბენფიკა-სპორტინგი | 2.2 | 3.0 | 3.2 | 1.26 | 1.3 | 1.54 |
| 22:45 | 209 | ბრაგა-ბეირა მარი | 1.25 | 5.0 | 9.0 | 1.0 | 1.09 | 3.21 |
| 19:00 | 210 | ჟილ ვისენტე-ბელენენსეში | 1.85 | 3.3 | 3.8 | 1.18 | 1.24 | 1.76 |
| 19:00 | 211 | გიმარაეში-ბოავიშტა | 2.0 | 3.2 | 3.3 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 19:00 | 212 | მარიტიმუ-ლეირია | 1.85 | 3.0 | 4.3 | 1.14 | 1.29 | 1.76 |
| 19:00 | 213 | ნასიონალი-პენაფიელი | 1.8 | 3.3 | 4.0 | 1.16 | 1.24 | 1.8 |
| 22:45 | 214 | რიუ ავე-პორტუ | 4.5 | 3.5 | 1.65 | 1.96 | 1.2 | 1.12 |
| 19:00 | 215 | სეტუბალი-ეშტორილი | 2.1 | 3.4 | 3.0 | 1.29 | 1.23 | 1.59 |

## საბერძნეთი

**15 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:45 | 563 | ოლიმპიაკოსი-პანიონიოსი | 1.1 | 7.0 | 12.0 | 1.0 | 1.0 | 4.42 |
| 19:45 | 564 | პანათინაიკოსი-აეკ | 1.8 | 3.5 | 3.6 | 1.18 | 1.2 | 1.77 |

## თურქეთი

**14 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:30 | 232 | მალათია-დენიზლი | 2.2 | 3.2 | 2.9 | 1.3 | 1.25 | 1.52 |
| 17:30 | 234 | სამსუნი-ანკარა | 2.05 | 3.4 | 2.9 | 1.27 | 1.2 | 1:56 |
| 17:30 | 235 | სებათი-გაზიანთეფი | 3.3 | 3.5 | 1.9 | 1.69 | 1.2 | 1.23 |

**15 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 225 | ანკარაგიუჯიუ-ფენერბაჩე | 7.0 | 3.8 | 1.4 | 2.46 | 1.16 | 1.02 |
| 20:00 | 227 | გალათასარაი-გენჩლერბირლიგი | 1.25 | 4.8 | 9.0 | 1.0 | 1.09 | 3.13 |
| 20:00 | 228 | ისთანბული-ბეშიქთაში | 4.5 | 3.8 | 1.55 | 2.06 | 1.15 | 1.1 |
| 20:00 | 230 | კაისერი-საკარია | 1.85 | 3.3 | 3.6 | 1.18 | 1.22 | 1.72 |
| 20:00 | 231 | კონია-დიარბაქირი | 2.1 | 3.4 | 2.9 | 1.29 | 1.21 | 1.56 |
| 20:00 | 233 | რიზე-ტრაბზონი | 4.6 | 3.8 | 1.55 | 2.08 | 1.15 | 1.1 |

## რუსეთი

**14 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15:00 | 236 | დინამო-ამკარი | 1.7 | 3.3 | 4.5 | 1.12 | 1.23 | 1.9 |
| 15:00 | 237 | ლოკომოტივი-როსტოვი | 1.25 | 4.5 | 9.0 | 1.0 | 1.09 | 3.0 |

**15 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15:00 | 238 | ალანია-რუბინი | 2.05 | 3.1 | 3.3 | 1.23 | 1.26 | 1.59 |
| 15:00 | 239 | კრილია-შინიკი | 1.65 | 3.4 | 4.5 | 1.11 | 1.2 | 1.93 |
| 15:00 | 240 | ტერეკი-მოსკოვი | 2.7 | 2.8 | 2.6 | 1.37 | 1.32 | 1.34 |
| 15:00 | 241 | ტომსკი-სპარტაკი | 2.9 | 3.0 | 2.3 | 1.47 | 1.28 | 1.3 |

## პოლონეთი

**13 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 242 | პოლონია-კრაკოვია | 2.4 | 3.1 | 2.6 | 1.35 | 1.24 | 1.41 |
| 21:00 | 245 | ლეხი-გურნიკი | 1.95 | 3.2 | 3.3 | 1.21 | 1.22 | 1.62 |

**14 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 243 | გროცლინი-ლეგია | 2.1 | 3.1 | 3.1 | 1.25 | 1.25 | 1.54 |
| 20:00 | 244 | კატოვიცე-ზაგლებე | 4.2 | 3.3 | 1.7 | 1.84 | 1.21 | 1.12 |
| 20:00 | 246 | ლეჩნა-პოგონი | 1.7 | 3.3 | 4.2 | 1.12 | 1.21 | 1.84 |
| 20:00 | 247 | პლოცკი-ამიკა | 2.3 | 3.0 | 2.8 | 1.3 | 1.26 | 1.44 |
| 21:30 | 248 | ვისლა-ოდრა | 1.25 | 4.8 | 8.0 | 1.0 | 1.08 | 3.0 |

## დანია. სუპერლიგა

**15 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 282 | სილკებორგი-მიდტიულანდი | 2.2 | 3.4 | 2.8 | 1.33 | 1.23 | 1.53 |

**16 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 283 | ვიბორგი-ესბიერგი | 2.4 | 3.3 | 2.6 | 1.38 | 1.24 | 1.45 |
| 17:00 | 284 | ორჰუსი-ჰერფიოლგე | 1.85 | 3.4 | 3.7 | 1.19 | 1.23 | 1.77 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 285 | ნორდსიელანდი-ოლბორგი | 3.25 | 3.3 | 2.0 | 1.63 | 1.23 | 1.24 |
| 17:00 | 286 | ოდენსე-რანდერსი | 1.6 | 3.5 | 5.0 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| 19:30 | 287 | ბრიონდბიუ-კოპენჰაგენი | 2.35 | 3.3 | 2.65 | 1.37 | 1.24 | 1.46 |
| | | **ნორვეგია. ტიპელიგა** | | | | | | |
| | | **16 მაისი** | | | | | | |
| 20:00 | 297 | ბრანი-ლილესტრიომი | 2.0 | 3.3 | 3.4 | 1.24 | 1.25 | 1.67 |
| 20:00 | 298 | ჰამარი-სტარტი | 2.2 | 3.4 | 2.85 | 1.33 | 1.24 | 1.55 |
| 20:00 | 299 | მოლდე-ალესუნდი | 2.0 | 3.3 | 3.2 | 1.24 | 1.23 | 1.62 |
| 20:00 | 300 | ოდ გრენლანდი-ლინი | 2.35 | 3.3 | 2.7 | 1.37 | 1.25 | 1.48 |
| 20:00 | 301 | რუსენბორგი-ვიკინგი | 1.5 | 4.0 | 5.3 | 1.09 | 1.16 | 2.27 |
| 20:00 | 302 | ტრომსიო-ბოდიო გლიმტი | 2.0 | 3.3 | 3.3 | 1.24 | 1.24 | 1.64 |
| 22:15 | 303 | ვოლერენგა-ფრედრიკსტადი | 1.5 | 3.9 | 5.5 | 1.08 | 1.17 | 2.28 |
| | | **ნორვეგია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **16 მაისი** | | | | | | |
| 20:00 | 304 | ფოლო-მოსი | 2.55 | 4.0 | 2.1 | 1.55 | 1.15 | 1.37 |
| 20:00 | 305 | ჰიოდი-ბრინი | 2.65 | 4.0 | 2.1 | 1.59 | 1.17 | 1.37 |
| 20:00 | 306 | კონგსვინგერი-ლოვ ჰამი | 1.55 | 4.2 | 4.2 | 1.13 | 1.13 | 2.09 |
| 20:00 | 307 | მანდალი-პორს გრენლანდი | 1.7 | 4.2 | 3.5 | 1.21 | 1.14 | 1.9 |
| 20:00 | 308 | სკეიდი-სანდეფიორდი | 2.9 | 4.1 | 1.9 | 1.69 | 1.14 | 1.29 |
| 20:00 | 309 | სოგნდალი-ჰიონეფოსი | 1.45 | 4.2 | 5.5 | 1.07 | 1.14 | 2.38 |
| 20:00 | 310 | სტრიომსგოდსეტი-ალტა | 1.55 | 4.2 | 4.5 | 1.13 | 1.15 | 2.17 |
| 20:00 | 311 | ტონსბერგი-სტაბეკი | 3.3 | 4.0 | 1.8 | 1.8 | 1.16 | 1.24 |
| | | **შვედეთი. ალსვენსკა** | | | | | | |
| | | **15 მაისი** | | | | | | |
| 19:00 | 316 | ჰეკენი-ელფსბორგი | 1.9 | 3.4 | 3.5 | 1.21 | 1.23 | 1.72 |
| 19:00 | 317 | ჰალმსტადი-იორგრიტე | 1.8 | 3.4 | 4.0 | 1.17 | 1.24 | 1.83 |
| 19:00 | 318 | ლანდსკრონა-ასირისკა | 1.75 | 3.4 | 4.2 | 1.15 | 1.23 | 1.87 |
| | | **16 მაისი** | | | | | | |
| 21:00 | 319 | მალმიო-კალმარი | 1.55 | 3.5 | 5.5 | 1.07 | 1.2 | 2.13 |
| 21:00 | 320 | გეფლე-სუნდსვალი | 2.4 | 3.2 | 2.7 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| 21:00 | 321 | გიოტებორგი-ჰელსინგბორგი | 1.85 | 3.4 | 3.7 | 1.19 | 1.23 | 1.77 |
| | | **შვედეთი. სუპერეტა** | | | | | | |
| | | **14 მაისი** | | | | | | |
| 18:00 | 324 | დეგერფორსი-ვესბი | 2.25 | 3.3 | 2.7 | 1.33 | 1.22 | 1.48 |
| | | **15 მაისი** | | | | | | |
| 16:30 | 325 | ფალკენბერგი-ბოდენსი | 2.0 | 3.4 | 3.15 | 1.25 | 1.22 | 1.63 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:10 | 326 | აიკ-ლიუნგკილე | 1.45 | 3.8 | 6.0 | 1.04 | 1.1[illegible] | 2.32 |
| 19:00 | 327 | ტრელებორგი-ბრომაპოიკარნა | 1.8 | 3.5 | 3.65 | 1.18 | 1.2 | 1.78 |
| 19:00 | 328 | იოსტერსი-მიალბი | 1.6 | 3.8 | 4.5 | 1.12 | 1.18 | 2.06 |
| | | **ირლანდია** | | | | | | |
| | | **13 მაისი** | | | | | | |
| 22:30 | 342 | უოტერფორდი-კორკი | 2.7 | 3.0 | 2.4 | 1.42 | 1.27 | 1.33 |
| 22:45 | 343 | ბოჰემიანი-ლონგფორდი | 2.1 | 3.1 | 3.2 | 1.25 | 1.26 | 1.57 |
| 22:45 | 344 | ბრეი-დერი | 2.5 | 3.0 | 2.6 | 1.36 | 1.27 | 1.39 |
| 22:45 | 345 | დროგედა-შელბურნი | 3.0 | 3.2 | 2.1 | 1.54 | 1.23 | 1.26 |
| 22:45 | 346 | სტ.პატრიკსი-შემროკი | 2.1 | 3.1 | 3.25 | 1.25 | 1.27 | 1.58 |
| | | **14 მაისი** | | | | | | |
| 22:45 | 347 | ჰერპსი-დუბლინი | 2.5 | 3.0 | 2.55 | 1.36 | 1.26 | 1.37 |
| | | **იაპონია** | | | | | | |
| | | **14 მაისი** | | | | | | |
| 10:00 | 348 | ნიიგატა-კაშიმა | 3.2 | 3.1 | 2.05 | 1.57 | 1.24 | 1.23 |
| 10:00 | 349 | ჩერეძო-გამბა | 2.5 | 3.0 | 2.55 | 1.36 | 1.26 | 1.37 |
| 10:00 | 350 | კავასაკი-შიმიცუ | 2.1 | 3.1 | 3.0 | 1.25 | 1.23 | 1.52 |
| 10:00 | 351 | ომია-ჰიროსიმა | 2.4 | 3.0 | 2.7 | 1.33 | 1.27 | 1.42 |
| 10:00 | 352 | ვერდი-კაშივა | 2.05 | 3.0 | 3.3 | 1.21 | 1.26 | 1.57 |
| 11:00 | 353 | ნაგოია-კობე | 1.5 | 3.5 | 5.5 | 1.04 | 1.17 | 2.13 |
| 14:00 | 354 | იჩიჰარა-ტოკიო | 1.8 | 3.2 | 3.8 | 1.15 | 1.22 | 1.73 |
| | | **15 მაისი** | | | | | | |
| 8:30 | 355 | ივატა-ოიტა | 1.8 | 3.2 | 4.0 | 1.15 | 1.24 | 1.77 |
| 9:00 | 356 | იოკოჰამა-ურავა | 2.2 | 3.1 | 2.95 | 1.28 | 1.26 | 1.51 |
| | | **აშშ** | | | | | | |
| | | **14 მაისი** | | | | | | |
| 23:45 | 358 | ნიუ ინგლენდი-ვაშინგტონი | 1.8 | 3.3 | 3.9 | 1.16 | 1.23 | 1.78 |
| 23:45 | 359 | სოლტ ლეიკი-ლოს ანჯელესი | 2.4 | 3.1 | 2.65 | 1.35 | 1.25 | 1.42 |
| 23:45 | 360 | კოლამბუსი-კანზასი | 2.15 | 3.1 | 3.0 | 1.26 | 1.25 | 1.52 |
| 23:45 | 361 | ჩიკაგო-ნიუ იორკი | 2.1 | 3.1 | 3.2 | 1.25 | 1.26 | 1.57 |
| 23:45 | 362 | კოლორადო-ჩივასი | 1.8 | 3.2 | 4.0 | 1.15 | 1.24 | 1.77 |
| 23:45 | 363 | სან ხოსე-დალასი | 2.25 | 3.0 | 2.9 | 1.28 | 1.26 | 1.47 |
| | | **რუსეთი. თასი** | | | | | | |
| | | **13 მაისი** | | | | | | |
| 20:00 | 623 | ზენიტი-ცსკა | 2.45 | 2.9 | 2.8 | 1.32 | 1.3 | 1.42 |

## ფრეს გარეშე(ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16003 | ბირმინგემი-არსენალი | 2.6 | 1.4 |
| 16005 | ბოლტონი-ევერტონი | 1.4 | 2.5 |
| 16006 | ჩარლტონი-კრისტალ პალასი | 2.1 | 1.5 |
| 16007 | ფულემი-ნორვიჩი | 2.1 | 1.5 |
| 16008 | ლივერპული-ასტონ ვილა | 1.25 | 3.3 |
| 16009 | სიტი-მიდლსბრო | 1.45 | 2.4 |
| 16010 | ნიუკასლი-ჩელსი | 2.1 | 1.5 |
| 16011 | საუთჰემპტონი-მანჩესტერი | 1.65 | 2.0 |
| 16012 | ტოტენჰემი-ბლექბერნი | 1.2 | 3.4 |
| 16013 | ვესტ ბრომვიჩი-პორტსმუთი | 1.2 | 3.4 |
| 16022 | ბოხუმი-შტუტგარტი | 2.45 | 1.4 |
| 16024 | ჰანოვერი-ჰამბურგი | 2.1 | 1.5 |
| 16025 | ჰანზა-არმინია | 1.35 | 2.6 |
| 16026 | მაინცი-კაიზერსლაუტერნი | 1.45 | 2.3 |
| 16027 | მიონხენგლადბახი-ჰერტა | 2.3 | 1.45 |
| 16028 | შალკე-დორტმუნდი | 1.2 | 3.0 |
| 16030 | ვოლფსბურგი-ლევერკუზენი | 2.1 | 1.5 |
| 16095 | ფიორენტინა-ატალანტა | 1.25 | 3.2 |
| 16099 | ლეჩე-მილანი | 3.2 | 1.25 |
| 16104 | სიენა-კიევო | 1.4 | 2.5 |
| 16105 | უდინეზე-სამპდორია | 1.45 | 2.3 |
| 16136 | ატლეტიკო-ბეტისი | 1.6 | 2.0 |
| 16137 | ესპანიოლი-ვალენსია | 1.6 | 2.05 |
| 16138 | ლევანტე-ბარსელონა | 3.5 | 1.2 |
| 16140 | მალიორკა-ბილბაო | 1.5 | 2.1 |
| 16141 | ნუმანსია-ოსასუნა | 1.6 | 1.9 |
| 16142 | რასინგი-ხეტაფე | 1.3 | 2.9 |
| 16143 | სევილია-რეალი | 2.1 | 1.5 |
| 16144 | სოსიედადი-მალაგა | 1.4 | 2.5 |
| 16145 | ვილიარეალი-ალბასეტე | 1.03 | 5.5 |
| 16146 | სარაგოსა-დეპორტივო | 1.5 | 2.1 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10003 | ბირმინგემი-არსენალი | 3.8 | 2.0 | 2.5 | 1.31 | 1.5 | 1.11 |
| 10005 | ბოლტონი-ევერტონი | 2.45 | 2.0 | 3.9 | 1.1 | 1.5 | 1.32 |
| 10006 | ჩარლტონი-კრისტალ პალასი | 3.5 | 2.1 | 2.5 | 1.31 | 1.45 | 1.14 |
| 10007 | ფულემი-ნორვიჩი | 3.4 | 2.0 | 2.55 | 1.25 | 1.45 | 1.12 |
| 10008 | ლივერპული-ასტონ ვილა | 2.2 | 2.0 | 4.6 | 1.04 | 1.48 | 1.39 |
| 10009 | სიტი-მიდლსბრო | 2.6 | 2.0 | 3.7 | 1.13 | 1.52 | 1.29 |
| 10010 | ნიუკასლი-ჩელსი | 3.5 | 2.0 | 2.65 | 1.27 | 1.5 | 1.13 |
| 10011 | საუთჰემპტონი-მანჩესტერი | 2.8 | 2.1 | 3.0 | 1.2 | 1.44 | 1.23 |
| 10012 | ტოტენჰემი-ბლექბერნი | 2.1 | 2.0 | 4.5 | 1.02 | 1.43 | 1.38 |
| 10013 | ვესტ ბრომვიჩი-პორტსმუთი | 2.1 | 2.0 | 4.5 | 1.02 | 1.43 | 1.38 |
| 10020 | ბაიერნი-ნიურნბერგი | 1.55 | 2.6 | 7.5 | 1.0 | 1.28 | 1.93 |
| 10022 | ბოხუმი-შტუტგარტი | 4.1 | 2.1 | 2.2 | 1.38 | 1.43 | 1.07 |
| 10024 | ჰანოვერი-ჰამბურგი | 3.2 | 2.1 | 2.6 | 1.26 | 1.43 | 1.16 |
| 10025 | ჰანზა-არმინია | 2.3 | 2.1 | 3.6 | 1.09 | 1.4 | 1.32 |
| 10026 | მაინცი-კაიზერსლაუტერნი | 2.6 | 2.1 | 3.3 | 1.16 | 1.45 | 1.28 |
| 10027 | მიონხენგლადბახი-ჰერტა | 3.4 | 2.2 | 2.5 | 1.33 | 1.44 | 1.17 |
| 10028 | შალკე-დორტმუნდი | 2.2 | 2.1 | 4.3 | 1.07 | 1.45 | 1.41 |

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10029 | ვერდერი-ფრაიბურგი | 1.4 | 2.9 | 7.5 | 1.0 | 1.17 | 2.09 |
| 10030 | ვოლფსბურგი-ლევერკუზენი | 3.2 | 2.1 | 2.7 | 1.26 | 1.46 | 1.18 |
| 10095 | ფიორენტინა-ატალანტა | 1.85 | 2.2 | 5.4 | 1.0 | 1.37 | 1.56 |
| 10096 | ინტერი-ლივორნო | 1.5 | 2.5 | 6.5 | 1.0 | 1.21 | 1.8 |
| 10097 | იუვენტუსი-პარმა | 1.5 | 2.5 | 6.5 | 1.0 | 1.21 | 1.8 |
| 10099 | ლეჩე-მილანი | 4.5 | 2.1 | 2.15 | 1.43 | 1.45 | 1.06 |
| 10104 | სიენა-კიევო | 2.4 | 2.0 | 4.1 | 1.09 | 1.51 | 1.34 |
| 10105 | უდინეზე-სამპდორია | 2.6 | 2.0 | 3.65 | 1.13 | 1.51 | 1.29 |
| 10136 | ატლეტიკო-ბეტისი | 2.7 | 2.0 | 3.4 | 1.14 | 1.5 | 1.25 |
| 10137 | ესპანიოლი-ვალენსია | 2.7 | 2.0 | 3.4 | 1.14 | 1.5 | 1.25 |
| 10138 | ლევანტე-ბარსელონა | 5.5 | 2.2 | 1.8 | 1.57 | 1.35 | 1.0 |
| 10140 | მალიორკა-ბილბაო | 2.4 | 2.0 | 4.0 | 1.09 | 1.5 | 1.33 |
| 10141 | ნუმანსია-ოსასუნა | 2.9 | 2.0 | 3.0 | 1.18 | 1.47 | 1.2 |
| 10142 | რასინგი-ხეტაფე | 2.1 | 2.0 | 5.2 | 1.02 | 1.49 | 1.44 |
| 10143 | სევილია-რეალი | 3.7 | 2.0 | 2.5 | 1.29 | 1.49 | 1.11 |
| 10144 | სოსიედადი-მალაგა | 2.3 | 2.0 | 4.3 | 1.06 | 1.49 | 1.36 |
| 10145 | ვილიარეალი-ალბასეტე | 1.4 | 2.6 | 8.0 | 1.0 | 1.19 | 1.96 |
| 10146 | სარაგოსა-დეპორტივო | 2.45 | 2.0 | 4.0 | 1.1 | 1.51 | 1.33 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | |
|---|---|---|
| 12003 ბირმინგემი-არსენალი | 1.7 | 1.9 |
| 12005 ბოლტონი-ევერტონი | 1.7 | 1.9 |
| 12006 ჩარლტონი-კრისტალ პალასი | 1.7 | 1.9 |
| 12007 ფულემი-ნორვიჩი | 1.7 | 1.9 |
| 12008 ლივერპული-ასტონ ვილა | 1.7 | 1.9 |
| 12009 სიტი-მიდლსბრო | 1.7 | 1.9 |
| 12010 ნიუკასლი-ჩელსი | 1.7 | 1.9 |
| 12011 საუთჰემპტონი-მანჩესტერი | 1.7 | 1.9 |
| 12012 ტოტენჰემი-ბლექბერნი | 1.7 | 1.9 |
| 12013 ვესტ ბრომვიჩი-პორტსმუთი | 1.7 | 1.9 |
| 12020 ბაიერნი-ნიურნბერგი | 2.2 | 1.5 |
| 12022 ბოხუმი-შტუტგარტი | 2.2 | 1.5 |
| 12024 ჰანოვერი-ჰამბურგი | 2.2 | 1.5 |
| 12025 ჰანსა-არმინია | 2.2 | 1.5 |
| 12026 მაინცი-კაიზერსლაუტერნი | 2.2 | 1.5 |
| 12027 მიონხენგლადბახი-ჰერტა | 2.1 | 1.55 |
| 12028 შალკე-დორტმუნდი | 2.0 | 1.6 |
| 12029 ვერდერი-ფრაიბურგი | 1.7 | 1.9 |
| 12030 ვოლფსბურგი-ლევერკუზენი | 2.2 | 1.5 |
| 12095 ფიორენტინა-ატალანტა | 1.9 | 1.7 |
| 12096 ინტერი-ლივორნო | 2.3 | 1.5 |
| 12097 იუვენტუსი-პარმა | 1.7 | 1.9 |
| 12099 ლეჩე-მილანი | 2.3 | 1.55 |
| 12104 სიენა-კიევო | 1.7 | 1.9 |
| 12105 უდინეზე-სამპდორია | 1.6 | 2.0 |
| 12136 ატლეტიკო-ბეტისი | 1.7 | 1.9 |
| 12137 ესპანიოლი-ვალენსია | 1.7 | 1.9 |
| 12138 ლევანტე-ბარსელონა | 1.7 | 1.9 |
| 12140 მალიორკა-ბილბაო | 1.9 | 1.7 |
| 12141 ნუმანსია-ოსასუნა | 1.7 | 1.9 |
| 12142 რასინგი-ხეტაფე | 1.6 | 2.0 |
| 12143 სევილია-რეალი | 1.7 | 1.9 |
| 12144 სოსიედადი-მალაგა | 1.7 | 1.9 |
| 12145 ვილიარეალი-ალბასეტე | 1.9 | 1.7 |
| 12146 სარაგოსა-დეპორტივო | 1.7 | 1.9 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0:0 დასრულების შემთხვევაში, ორივე შედეგი წაგებულად ჩაითვლება)

| | | |
|---|---|---|
| 14003 ბირმინგემი-არსენალი | 2.2 | 1.7 |
| 14005 ბოლტონი-ევერტონი | 1.7 | 2.2 |
| 14006 ჩარლტონი-კრისტალ პალასი | 2.1 | 1.75 |
| 14007 ფულემი-ნორვიჩი | 2.1 | 1.75 |
| 14008 ლივერპული-ასტონ ვილა | 1.4 | 2.3 |
| 14009 სიტი-მიდლსბრო | 1.75 | 2.1 |
| 14010 ნიუკასლი-ჩელსი | 2.1 | 1.7 |
| 14011 საუთჰემპტონი-მანჩესტერი | 1.8 | 2.0 |
| 14012 ტოტენჰემი-ბლექბერნი | 1.3 | 2.5 |
| 14013 ვესტ ბრომვიჩი-პორტსმუთი | 1.3 | 2.5 |
| 14020 ბაიერნი-ნიურნბერგი | 1.08 | 2.9 |
| 14022 ბოხუმი-შტუტგარტი | 2.3 | 1.65 |
| 14024 ჰანოვერი-ჰამბურგი | 2.1 | 1.7 |
| 14025 ჰანსა-არმინია | 1.7 | 2.2 |
| 14026 მაინცი-კაიზერსლაუტერნი | 1.75 | 2.1 |
| 14027 მიონხენგლადბახი-ჰერტა | 2.2 | 1.7 |
| 14028 შალკე-დორტმუნდი | 1.45 | 2.4 |
| 14029 ვერდერი-ფრაიბურგი | 1.03 | 2.9 |
| 14030 ვოლფსბურგი-ლევერკუზენი | 2.1 | 1.75 |
| 14095 ფიორენტინა-ატალანტა | 1.45 | 2.4 |
| 14096 ინტერი-ლივორნო | 1.05 | 2.9 |
| 14097 იუვენტუსი-პარმა | 1.03 | 2.9 |
| 14099 ლეჩე-მილანი | 2.4 | 1.4 |
| 14104 სიენა-კიევო | 1.7 | 2.2 |
| 14105 უდინეზე-სამპდორია | 1.75 | 2.1 |
| 14136 ატლეტიკო-ბეტისი | 1.85 | 1.95 |
| 14137 ესპანიოლი-ვალენსია | 1.9 | 1.9 |
| 14138 ლევანტე-ბარსელონა | 2.4 | 1.45 |
| 14140 მალიორკა-ბილბაო | 1.8 | 2.0 |
| 14141 ნუმანსია-ოსასუნა | 1.8 | 1.9 |
| 14142 რასინგი-ხეტაფე | 1.45 | 2.4 |
| 14143 სევილია-რეალი | 2.0 | 1.8 |
| 14144 სოსიედადი-მალაგა | 1.7 | 2.2 |
| 14145 ვილიარეალი-ალბასეტე | 1.06 | 2.9 |
| 14146 სარაგოსა-დეპორტივო | 1.8 | 2.0 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15003 | ბირმინგემი-არსენალი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15005 | ბოლტონი-ევერტონი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15006 | ჩარლტონი-კრისტალ პალასი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15007 | ფულემი-ნორვიჩი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15008 | ლივერპული-ასტონ ვილა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15009 | სიტი-მიდლსბრო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15010 | ნიუკასლი-ჩელსი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15011 | საუთჰემპტონი-მანჩესტერი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15012 | ტოტენჰემი-ბლექბერნი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15013 | ვესტ ბრომვიჩი-პორტსმუთი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15020 | ბაიერნი-ნიურნბერგი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15022 | ბოხუმი-შტუტგარტი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15024 | ჰანოვერი-ჰამბურგი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15025 | ჰანსა-არმინია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15026 | მაინცი-კაიზერსლაუტერნი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15027 | მიონხენგლადბახი-ჰერტა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15028 | შალკე-დორტმუნდი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15029 | ვერდერი-ფრაიბურგი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15030 | ვოლფსბურგი-ლევერკუზენი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15095 | ფიორენტინა-ატალანტა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15096 | ინტერი-ლივორნო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15097 | იუვენტუსი-პარმა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15099 | ლეჩე-მილანი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15104 | სიენა-კიევო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15105 | უდინეზე-სამპდორია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15136 | ატლეტიკო-ბეტისი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15137 | ესპანიოლი-ვალენსია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15138 | ლევანტე-ბარსელონა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15140 | მალიორკა-ბილბაო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15141 | ნუმანსია-ოსასუნა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15142 | რასინგი-ხეტაფე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15143 | სევილია-რეალი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15144 | სოსიედადი-მალაგა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15145 | ვილიარეალი-ალბასეტე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15146 | სარაგოსა-დეპორტივო | 3.0 | 2.8 | 2.0 |

## ლუწი რაოდენობის გოლი გავა მატჩში თუ კენტი (0:0 ითვლება ლუწად)

| | ლუწი | კენტი |
|---|---|---|
| 17003 ბირმინგემი-არსენალი | 1.85 | 1.95 |
| 17005 ბოლტონი-ევერტონი | 1.85 | 1.95 |
| 17006 ჩარლტონი-კრისტალ პალასი | 1.85 | 1.95 |
| 17007 ფულემი-ნორვიჩი | 1.85 | 1.95 |
| 17008 ლივერპული-ასტონ ვილა | 1.85 | 1.95 |
| 17009 სიტი-მიდლსბრო | 1.85 | 1.95 |
| 17010 ნიუკასლი-ჩელსი | 1.85 | 1.95 |
| 17011 საუთჰემპტონი-მანჩესტერი | 1.85 | 1.95 |
| 17012 ტოტენჰემი-ბლექბერნი | 1.85 | 1.95 |
| 17013 ვესტ ბრომვიჩი-პორტსმუთი | 1.85 | 1.95 |
| 17020 ბაიერნი-ნიურნბერგი | 1.85 | 1.95 |
| 17022 ბოხუმი-შტუტგარტი | 1.85 | 1.95 |
| 17024 ჰანოვერი-ჰამბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17025 ჰანსა-არმინია | 1.85 | 1.95 |
| 17026 მაინცი-კაიზერსლაუტერნი | 1.85 | 1.95 |
| 17027 მიონხენგლადბახი-ჰერტა | 1.85 | 1.95 |
| 17028 შალკე-დორტმუნდი | 1.85 | 1.95 |
| 17029 ვერდერი-ფრაიბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17030 ვოლფსბურგი-ლევერკუზენი | 1.85 | 1.95 |
| 17095 ფიორენტინა-ატალანტა | 1.85 | 1.95 |
| 17096 ინტერი-ლივორნო | 1.85 | 1.95 |
| 17097 იუვენტუსი-პარმა | 1.85 | 1.95 |
| 17099 ლეჩე-მილანი | 1.85 | 1.95 |
| 17104 სიენა-კიევო | 1.85 | 1.95 |
| 17105 უდინეზე-სამპდორია | 1.85 | 1.95 |
| 17136 ატლეტიკო-ბეტისი | 1.85 | 1.95 |
| 17137 ესპანიოლი-ვალენსია | 1.85 | 1.95 |
| 17138 ლევანტე-ბარსელონა | 1.85 | 1.95 |
| 17140 მალიორკა-ბილბაო | 1.85 | 1.95 |
| 17141 ნუმანსია-ოსასუნა | 1.85 | 1.95 |
| 17142 რასინგი-ხეტაფე | 1.85 | 1.95 |
| 17143 სევილია-რეალი | 1.85 | 1.95 |
| 17144 სოსიედადი-მალაგა | 1.85 | 1.95 |
| 17145 ვილიარეალი-ალბასეტე | 1.85 | 1.95 |
| 17146 სარაგოსა-დეპორტივო | 1.85 | 1.95 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | კი | არა |
|---|---|---|
| 13003 ბირმინგემი-არსენალი | 1.7 | 1.9 |
| 13005 ბოლტონი-ევერტონი | 1.7 | 1.9 |
| 13006 ჩარლტონი-კრისტალ პალასი | 1.7 | 1.9 |
| 13007 ფულემი-ნორვიჩი | 1.7 | 1.9 |
| 13008 ლივერპული-ასტონ ვილა | 1.7 | 1.9 |
| 13009 სიტი-მიდლსბრო | 1.7 | 1.9 |
| 13010 ნიუკასლი-ჩელსი | 1.7 | 1.9 |
| 13011 საუთჰემპტონი-მანჩესტერი | 1.7 | 1.9 |
| 13012 ტოტენჰემი-ბლექბერნი | 1.7 | 1.9 |
| 13013 ვესტ ბრომვიჩი-პორტსმუთი | 1.7 | 1.9 |
| 13022 ბოხუმი-შტუტგარტი | 1.7 | 1.9 |
| 13024 ჰანოვერი-ჰამბურგი | 1.7 | 1.9 |
| 13025 ჰანსა-არმინია | 1.7 | 1.9 |
| 13026 მაინცი-კაიზერსლაუტერნი | 1.7 | 1.9 |
| 13027 მიონხენგლადბახი-ჰერტა | 1.7 | 1.9 |
| 13028 შალკე-დორტმუნდი | 1.7 | 1.9 |
| 13030 ვოლფსბურგი-ლევერკუზენი | 1.7 | 1.9 |
| 13095 ფიორენტინა-ატალანტა | 1.6 | 2.0 |
| 13096 ინტერი-ლივორნო | 1.6 | 2.0 |
| 13097 იუვენტუსი-პარმა | 1.7 | 1.9 |
| 13099 ლეჩე-მილანი | 1.6 | 2.0 |
| 13104 სიენა-კიევო | 1.7 | 1.9 |
| 13105 უდინეზე-სამპდორია | 1.7 | 1.9 |
| 13136 ატლეტიკო-ბეტისი | 1.7 | 1.9 |
| 13137 ესპანიოლი-ვალენსია | 1.7 | 1.9 |
| 13138 ლევანტე-ბარსელონა | 1.9 | 1.7 |
| 13140 მალიორკა-ბილბაო | 1.6 | 2.0 |
| 13141 ნუმანსია-ოსასუნა | 1.7 | 1.9 |
| 13142 რასინგი-ხეტაფე | 1.7 | 1.9 |
| 13143 სევილია-რეალი | 1.6 | 2.0 |
| 13144 სოსიედადი-მალაგა | 1.7 | 1.9 |
| 13145 ვილიარეალი-ალბასეტე | 1.9 | 1.7 |
| 13146 სარაგოსა-დეპორტივო | 1.7 | 1.9 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11003 | ბირმინგემი-არსენალი | 5.3 | 10.0 | 20.0 | 6.0 | 4.4 | 4.0 | 20.0 | 10.0 | 3.0 |
| 11005 | ბოლტონი-ევერტონი | 3.0 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.4 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 5.3 |
| 11006 | ჩარლტონი-კრისტალ პალასი | 4.8 | 10.0 | 20.0 | 5.6 | 4.4 | 4.2 | 20.0 | 10.0 | 3.3 |
| 11007 | ფულემი-ნორვიჩი | 4.8 | 10.0 | 20.0 | 5.6 | 4.4 | 4.2 | 20.0 | 10.0 | 3.3 |
| 11008 | ლივერპული-ასტონ ვილა | 2.4 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 8.0 |
| 11009 | სიტი-მიდლსბრო | 3.1 | 10.0 | 20.0 | 4.2 | 4.4 | 5.6 | 20.0 | 10.0 | 5.0 |
| 11010 | ნიუკასლი-ჩელსი | 5.3 | 10.0 | 20.0 | 6.0 | 4.4 | 4.0 | 20.0 | 10.0 | 3.0 |
| 11011 | საუთჰემპტონი-მანჩესტერი | 3.4 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.0 | 20.0 | 10.0 | 4.6 |
| 11012 | ტოტენჰემი-ბლექბერნი | 2.3 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 8.0 |
| 11013 | ვესტ ბრომვიჩი-პორტსმუთი | 2.3 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 8.0 |
| 11020 | ბაიერნი-ნიურნბერგი | 1.4 | 15.0 | 30.0 | 3.5 | 5.0 | 11.0 | 20.0 | 11.0 | 11.0 |
| 11022 | ბოხუმი-შტუტგარტი | 6.5 | 10.0 | 20.0 | 7.5 | 4.4 | 3.6 | 20.0 | 10.0 | 2.6 |
| 11024 | ჰანოვერი-ჰამბურგი | 4.6 | 10.0 | 20.0 | 5.3 | 4.4 | 4.4 | 20.0 | 10.0 | 3.3 |
| 11025 | ჰანსა-არმინია | 2.8 | 10.0 | 20.0 | 3.8 | 4.4 | 6.5 | 20.0 | 10.0 | 5.6 |
| 11026 | მაინცი-კაიზერსლაუტერნი | 3.2 | 10.0 | 20.0 | 4.2 | 4.4 | 5.6 | 20.0 | 10.0 | 5.0 |
| 11027 | მიონხენგლადბახი-ჰერტა | 5.3 | 10.0 | 20.0 | 6.0 | 4.4 | 4.0 | 20.0 | 10.0 | 3.0 |
| 11028 | შალკე-დორტმუნდი | 2.5 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 7.0 |
| 11030 | ვოლფსბურგი-ლევერკუზენი | 4.8 | 10.0 | 20.0 | 5.6 | 4.4 | 4.2 | 20.0 | 10.0 | 3.3 |
| 11095 | ფიორენტინა-ატალანტა | 2.4 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 8.0 |
| 11096 | ინტერი-ლივორნო | 1.5 | 15.0 | 30.0 | 3.5 | 5.0 | 11.0 | 20.0 | 11.0 | 11.0 |
| 11097 | იუვენტუსი-პარმა | 1.4 | 15.0 | 30.0 | 3.5 | 5.0 | 11.0 | 20.0 | 11.0 | 11.0 |
| 11099 | ლეჩე-მილანი | 7.5 | 10.0 | 20.0 | 8.5 | 4.4 | 3.5 | 20.0 | 10.0 | 2.4 |
| 11104 | სიენა-კიევო | 3.0 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.4 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 5.3 |
| 11105 | უდინეზე-სამპდორია | 3.2 | 10.0 | 20.0 | 4.2 | 4.4 | 5.6 | 20.0 | 10.0 | 5.0 |
| 11136 | ატლეტიკო-ბეტისი | 3.6 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.8 | 20.0 | 10.0 | 4.0 |
| 11137 | ესპანიოლი-ვალენსია | 3.6 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.8 | 20.0 | 10.0 | 4.0 |
| 11138 | ლევანტე-ბარსელონა | 7.5 | 10.0 | 20.0 | 8.5 | 4.4 | 3.5 | 20.0 | 10.0 | 2.3 |
| 11140 | მალიორკა-ბილბაო | 3.3 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.6 | 20.0 | 10.0 | 4.8 |
| 11141 | ნუმანსია-ოსასუნა | 3.6 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.8 | 20.0 | 10.0 | 4.0 |
| 11142 | რასინგი-ხეტაფე | 2.6 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11143 | სევილია-რეალი | 5.3 | 10.0 | 20.0 | 6.0 | 4.4 | 4.0 | 20.0 | 10.0 | 3.0 |
| 11144 | სოსიედადი-მალაგა | 2.8 | 10.0 | 20.0 | 3.8 | 4.4 | 6.5 | 20.0 | 10.0 | 5.6 |
| 11145 | ვილიარეალი-ალბასეტე | 1.4 | 15.0 | 30.0 | 3.5 | 5.0 | 11.0 | 20.0 | 11.0 | 11.0 |
| 11146 | სარაგოსა-დეპორტივო | 3.3 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.6 | 20.0 | 10.0 | 4.8 |

# ტრადიციულად უთანასწორო

## ახლა ავიატორთა ჯერია

ირაკლი პერტაია

„პირველ ტაიმში ჩვენმა გუნდმა 31 ქულა მოიპოვა, რაც ერთი კარგი მოთამაშის მონაგარია. წაგების მიზეზიც ეს იყო, შეტევაში ძალიან ცუდად ვითამაშეთ" — თქვა „ავიამშენის" მწვრთნელმა ლევან მოსეშვილმა ნამატჩევს და ამას რომ ამბობდა, უკვე „სტუ-ჯეოსელთან" მომდევნო თამაშზე ფიქრობდა.

დიახ, საფიქრელი მართლაც ბლომად აქვს „ავიამშენის" თავკაცს, რადგან მისმა გუნდმა ფინალური სერიის პირველ მატჩში არა მხოლოდ შეტევაში, ეფექრობთ, დაცვაშიც ვერ ივარგა და მეტოქესთან, რომელსაც თითქოს არაფერში არ ჰქონდა უპირატესობა, სრულიად უიმედოდ, 61:78 წააგო.

სხვათა შორის, ამ გუნდების მატჩებში თავისებური, ცოტა არ იყოს, უცნაური ჩვეულება მკვიდრდება. თითქოს ტოლძალოვანნი არიან, მაგრამ როგორც ბოლო მატჩების ქრონიკა გვიჩვენებს, ხან ერთი იმარჯვებს დიდი ანგარიშით, ხან — მეორე. ისეთი ჯახი, რომ დაძაბული ფინალი ჰქონოდეს, „ავიამშენისა" და სტუ-ს ბოლო დაპირისპირებებში არასდროს ყოფილა. რეგულარული ჩემპიონატის ბოლო ტურში „ავიამ" 34 ქულით გაანადგურა სტუ, იმის წინ ტექნიკოსებმა იმარჯვეს გვარიანი სხვაობით და მანამდეც დაახლოებით ასეთი სცენარით სრულდებოდა მათი შეტაკებები. ტრადიცია არც ფინალური სერიის გახსნის მატჩში დაირღვა და ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდმა იოლად იძალა.

არადა, დასაწყისში სულაც არ იფიქრებდით, რომ ამ მატჩის ბოლო ხუთ წუთს აზრი დაეკარგებოდა. პირველი მეოთხედი თითქმის თანაბარი იყო, თუმცა სტუდენტების მოუსვენრობა და ლიდერობისკენ ლტოლვა მაინც იგრძნობოდა.

„ავიამშენმა" ოპტიმალური შემადგენლობებით დაიწყო თამაში, რასაც ვერ ვიტყვით სტუ-ზე, რომელსაც ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი შანიძე ჰყავდა დაშავებული და იგი მოედანზე მოგვიანებით გამოვიდა. მის ნაცვლად ხუთეულში ირაკლი კეიდია ვიხილეთ, რომელმაც ისე ყოჩაღად ჩაატარა ბოლო მატჩები, თავიდანვე მოედანზე გასვლას უდაოდ იმსახურებდა.


ირაკლი კეიდია ბურთით „ავიამშენის" საჯარიმოს ხშირი სტუმარი იყო

კეიდიაზე ტყუილად არ გავამახვილეთ ყურადღება. ის და სტუ-ს დანარჩენი ფორვარდები წარმოადგენდნენ იმ ძალას, რომელსაც მთელი თამაშის განმავლობაში ეყრდნობოდა სტუ და, როგორც გამოჩნდა, არც წაუგია.

სხვა გზა არც ჰქონდა სტუ-ს, შუახაზელებს უნდა დაყრდნობოდა, რადგან სიმაღლეში მეტოქეს ვერ გამოეკიდებოდა. ფორვარდებიც ამართლებდნენ — პერიმეტრიდან ირაკლი კეიდია და გიორგი მარკოიშვილი წარმატებით ბომბავდნენ ავიატორთა კალათს. ტექნიკოსები დაწინაურდნენ — 14:8.

„ავიამშენიდან" სნაიპერობა გოჩა წოწელიამ ითავა, რომელმაც საწყის წუთებში ორი სამქულიანი კი ჩაუგდო სტუდენტებს, მაგრამ ოპონენტ გიორგი მარკოიშვილს მაინც ვერ აჯობა. ტექნიკოსები არც უფიქრებოდნენ, ისე ტყორცნიდნენ პერიმეტრიდან, ანაც მწვავე კონტრშეტევებით ასვენებდნენ „ავიატორებს".

პირველი მეოთხედი სტუმ 4 ქულით მოიგო, თუმცა „ავიამშენმა" მალევე გაათანაბრა ანგარიში — 23:23. მოსეშვილის გუნდმა ეს ტანმაღალი კახა შენგელიასა და ფარქვეშ მის თანამებრძოლ თორნიკე ნინიაშვილის დახმარებით მოახერხა.

სტუდენტთა დამრიგებელმა ნუგზარ ჭეიშვილმა მეტოქის მეფარეთა გააქტიურებას ასე უპასუხა: მოედანზე ერთდროულად ორი ცენტრი გამოუშვა — ირაკლი ჯაფარიძე და სრულიად ახალგაზრდა ცენტრალური თავდამსხმელი რიჩარდ მათიაშვილი. ამან გაამართლა და ტანდემმა „ავიატორთა" მაღლებს ხელ-ფეხი შეუკრა ამასთან, ტექნიკოსთა დაბლებმაც იძალეს.

მათიაშვილის კარგი თამაში ცალკე მას ბევრი არ ჩაუგდია, მხოლოდ 4 ქულა მოაგროვა, მაგრამ დაცვაში და ფარიდან ასხლეტილი ბურთების მოხსნაში გამოიდო თავი, რითაც სტუ-ს დიდი სამსახური გაუწია. ჯაფარიძესთან ერთად რიჩარდი „ავიამშენის" შეცვლაზე შემოსულ ცენტრ დავით ბერძენიშვილს აღვენა, გასაქანი არ მისცა და ტექნიკოსებიც მეტოქის აცილებულ ყოველ ბურთს სწრაფი შეტევების მეშვეობით „ავიატორთა" კალათში ათავსებდნენ.

სწორედ აქ მოხდა გარდატეხა სტუ-ს სასარგებლოდ. პირველი ტაიმის ბოლო 4 წუთი ტექნიკოსებმა 11:2 იძალეს და დიდ შესვენებაზე 11-ქულიანი ლიდერობით გავიდნენ.

ნათქვამია, ვინც მესამე [illegible] იგებს, გამარჯვებაც მას [illegible] ისედაც წინ მყოფმა [illegible] ბულ მონაკვეთშიც [illegible] ქე. „ავიამშენი" კვლავ [illegible] ლა, მაგრამ ეულად [illegible] შენგელიას გვერდზე [illegible] მოუჩნდა, ხოლო ფეხმარდ[illegible] მოცდილმა დავით თორთლაძე[illegible] ირაკლი ხოშტარიამ [illegible] აკლეს ტექნიკოსთა [illegible] დეგად ჭეიშვილის გუნდმა [illegible] ვით დაცხრილა „ავიამშენის" დაცვა და ბოლო შესვენებაზე 18-ქულიანი ჰანდიკაპით გავიდა.

ბოლო მეოთხედში „ავიატორთა" თამაშის გადარჩენის [illegible] შანსი კი ჰქონდათ, მაგრამ [illegible] იყენეს. გიორგი მარკოიშვილმა და ირაკლი შანიძემ თამაშის განახლებისთანავე 23-ქულიანი [illegible] დაუბევეს სტუდენტებს და [illegible] ნილი დროც ფორმალობად იქცა.

„ავიამშენმა" სერიის [illegible] ტჩის წაგებით მრისხანება [illegible] და დღეს მოედანზე [illegible] ორმაგებული მონდომებით [illegible] სთან საბრძოლველად.

| სტუ 1:0 ავიამშენი | სამ გამარჯვებამდე | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სტუ 91:72 ავიამშენი | | | | | | | | | | | |
| 22:18 20:13 28:21 21:20 | | | | | | | | | | | |
| **სტუ-ჯეოსელი** | **ქ** | **მ** | **პ** | **ჩ** | **დ** | **ავიამშენი** | **ქ** | **მ** | **პ** | **ჩ** | **დ** |
| დ. ბერიშვილი | 12 | 4 | 3 | 4 | 2 | თორთლაძე | 9 | - | - | - | 2 |
| გოგობერიშვილი | 7 | 4 | - | - | 1 | ხოშტარია | 8 | 4 | 1 | 1 | 4 |
| მარკოიშვილი | 28 | 5 | 1 | 3 | - | წოწელია | 21 | 8 | - | 1 | 2 |
| კეიდია | 10 | 7 | - | - | - | ნინიაშვილი | 8 | 12 | - | - | 3 |
| ჯაფარიძე | 2 | 5 | - | - | 1 | შენგელია | 20 | 9 | 1 | 1 | 2 |
| გაგნიძე | 9 | 2 | - | - | - | ორმოცაძე | 2 | 2 | - | - | 2 |
| მიქაძე | 9 | 2 | - | - | - | ბოლქვაძე | 2 | 3 | - | - | 1 |
| შანიძე | 7 | 1 | - | 1 | - | ნიკოლაძე | 2 | 4 | - | 2 | 1 |
| მათიაშვილი | 4 | 7 | 1 | - | - | ბერძენიშვილი | - | 2 | - | - | - |
| პირველაშვილი | 4 | 3 | 1 | - | - | | | | | | |
| წივწივაძე | - | - | - | - | - | | | | | | |

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი, მაკა კუპატაძე
კომისარი: მურმან ქურიძე

ქ — ქულა; მ — მოხსნა; პ — პასი; ჩ — ჩაჭრა; დ — დაკარგვა

# ეს ბიჭი კარგად თამაშობს...

## მაკაბის სტეფანია შერმადინია

მესამე ადგილისთვის
**დინამო 1:0 თსუ**
**დინამო 78:61 თსუ**
23:15 16:13 15:11 24:22
**დინამო:** გამყრელიძე (2), ხეცურიანი (2), ბ. ბერიშვილი (26), ჩხარტიშვილი (10), კილაძე (3); ლაფანაშვილი (16), სუხიშვილი (7), ბექაური (3), კვიმსაძე (3), კოღუაშვილი (4)
**თსუ:** ვეფხვაძე (2), მაისურაძე (7), ფანჩულიძე (14), მ. ბერიშვილი (3), სანიკიძე (2); ბერაია (15), გაფრინდაშვილი (5), ხიზანიშვილი (5), კოკოლიშვილი (5), მარხვაშვილი (3)
**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, მაკა კუპატაძე
**კომისარი:** თენგიზ ქიქოძე

მე-5-6 ადგილისთვის
**რუსთავი**
**თუჯი 87:91 მაკაბი**

მე-7-8 ადგილისთვის
**თელავი**
**ბურჯი 70:74 სსუ**

**საჩემპიონო** გზას ნახევარფინალიდან ჩამოშორებული გუნდების სამესამეადგილო შეხლა დიდი ვერაფერი საცქერი გამოდგა. თამაშს აკლდა ემოცია, დაძაბულობა და მაყურებელთა ინტერესი. სამაგიეროდ, იყო მოწყენილი, საბრალო და ცოტა სენტიმენტალური ეპიზოდებიც კი, რადგან მესამე ადგილისთვის მატჩი ხომ წაგებული ფინალამდე ძალიან ახლოს მისული გუნდების შერკინებაა.


ნიკა ჩხატარაშვილი ბურთით თსუ-ს დამცველებს გაურბის

თსუ-ს არა, მაგრამ „დინამოს" კი ნაღდად ჰქონდა წლეულს საჩემპიონო ამბიცია. ამიტომაც ამ გუნდის წევრების სახეებზე უფრო შეიმჩნეოდა მოწყენილობა.

ზურაბ ტომარაძე კი, მუდამ ემოციური და თამაშში ბოლომდე ჩართული მწვრთნელი, აუღელვებლად იჯდა სათადარიგოთა შორის და მოედანზე მიმდინარე ამბებს წარბშეუხრელად ადევნებდა თვალს.

ისე, ტომარაძეს ბევრიც არაფერი ჰქონდა სანერვიულო. მისი გუნდი იოლად ჯაბნიდა სტუდენტებს, აი, თსუ-ს თავკაცი მამუკა ტურაშვილი კი უფრო აქტიური იყო და სკამზე თითქმის არ დამჯდარა.

თსუ-მ მხოლოდ პირველ მეოთხედში გაუწია წინააღმდეგობა მეტოქეს, მაგრამ შემდეგ ჩამორჩა და ორმოგებიანი სერიის პირველი შეხვედრა დიდი ანგარიშით დათმო.

დინამოელთაგან საუკეთესო იყო ბუბა ბერიშვილი, რომელმაც საამატჩო 26-ქულიანი მონაგარი ლამის სულ სამქულიანებით შეავსო. თსუ-ც ცდილობდა პერიმეტრიდან დაეცხრილა დინამოელები, მაგრამ ტომარაძის გუნდის თითოეული რგოლი გონივრულად თამაშობდა და სტუდენტები, როგორც აღმოჩნდა, ამათ [illegible] დნენ.

ახლა კი იმ გუნდებზეც ვიქავთ, რომლებიც მეხუთე-მერვე ადგილებისთვის ებრძოლებიან ერთმანეთს, რომელიც გუშინდელი შედეგები მოულოდნელია.

სოხუმის უნივერსიტეტის გუნდი რომ თელავში „ბურჯს" დაამარცხებდა, ეგებ ვინმეს ეგონა კიდეც, მაკაბელთა რუსთავში გამარჯვებას კი ცოტა თუ [illegible].

„მაკაბი-ბრინკფორდს" ახლა ერთი მეტად პერსპექტიული მოთამაშე ჰყავს — გიორგი შერმადინი. 1989 წელს დაბადებული ეს ჯეელი უკვე 213 სანტიმეტრი სიმაღლისაა. სწორედ შერმადინის ქებული გარჯის წყალობით მოახდინა „მაკაბიმ" მცირე სენსაცია და რუსთავში გაცილებით ძლიერ „თუჯი" ბეჭებზე გააკრა.

შერმადინმა საბოლოოდ 32 ქულა მოაგროვა და ბარემ ამის ნახევარი მოხსნას დაუგროვდა.

მასზე ამბობენ, მომავალი სტეფანიააო. ვნახოთ...

**NBA PLAY OFF 2005 მეორე წრე**

# დალახვრის რეჟიმ
## ინდიანა უკვდავი კაშეია

— 11 მაისი —

**აღმოსავლეთი**

**დეტროიტი 1:1 ინდიანა**

**დეტროიტი 83:92 ინდიანა**

დეტროიტი: ბილაფსი (13 ქულა, 10 პასი), ჰამილტონი (14), პრინსი (24), რ. ვოლესი (14), ბ ვოლესი (3 ქულა, 16 მოხსნა); მაკდაიესი (8), ჰანტერი (5), დიუპრე (2)

ინდიანა: ტინსლი (12 ქულა, 12 პასი, 7 მოხსნა), მილერი (19), ჯექსონი (13), ონილი (22 ქულა, 10 მოხსნა, 5 დაფარება), დევისი (4); ფოსტერი (14 ქულა, 20 მოხსნა), ფ. ჯონსი (3), ჯონსონი (3), კროშერი (2), ჯ. ჯონსი



**არა,** [illegible] „ინდიანა პეისერზზე“ [illegible] „დეტროიტიდან“ პირველ თამაშში 15 ქულით წაგება [illegible] [illegible] [illegible].

საერთოდ, აქვს თუ არა ნერვები რეჯი მილერს? მგონი, არა და [illegible] ეს კაცი კალათბურთიდან არ წავა, მისი გუნდის წინასწარ წაგებულად ჩათვლა უგუნურებაა და მეტი არაფერი. 40 წლის [illegible] პირველ მეოთხედში მხოლოდ 6 ქულა [illegible] [illegible] ბელი ბურთები. არადა, „დეტროიტი“ [illegible] პირველი მეოთხედის შემდეგ [illegible] არც მეტი, არც ნაკლები, 15 ქულით და ბევრს ეს თამაში მომთავრებულიც ეგონა. ოღონდ არა ინდიანელებს. მილერმა სამი სამქულიანი ჩააგდო, სამივე ჰაეროვით საჭირო, ჯერმენ ონილმა თავისიანებს 22 ქულა და 10 მოხსნა შემატა, ხოლო ნაკლებად ცნობილმა სათადარიგომ ჯეფ ფოსტერმა 14 ქულას კარიერაში უმეტესი 20 მოხსნა მოაყოლა და „ინდიანას“ თავკაც რიკ კარლაილს ათქმევინა — დღეს ბენ ვოლესი ჩვენ გვყავდა და არა „დეტროიტსო“.

ერთი სიტყვით, „ინდიანამ“ „დეტროიტს“ მოედნის უპირატესობა და სერიაში ულაპარაკო ფავორიტის ტიტული ჩამოართვა. იმის თქმა არ გვინდა, რომ „ინდიანა“ ყოველთვის ასე ითამაშებს და საბოლოოდაც დასცემს „პისტონზს“, მაგრამ, სამაგიეროდ, ამას ამბობს ინდიანელი ჯერმენ ონილი — „ჩვენ უამრავი რამ გადავიტანეთ და მაინც ცოცხლები ვართ. ამდენმა გაჭირვებამაც ვერ შეგვაცვლევინა მიზანი. კვლავ ძველებურად გვჯერა, რომ ფინალშიც გავალთ და ჩემპიონებიც გავხდებით.“

**დასავლეთი**

**ფინიქსი 1:1 დალასი**

**ფინიქსი 106:108 დალასი**

ფინიქსი: ნეში (23 ქულა, 13 პასი), ჯონსონი (8), რიჩარდსონი (12), მარიონი (23 ქულა, 15 მოხსნა, 6 დაფარება), სტუდემაიერი (30 ქულა, 16 მოხსნა); ჯექსონი (9), ბარბოსა (1), მაკკარტი, შ ანტერი

დალასი: ტერი (12), ფინლი (31), ჰოვარდი (10), ნოვიცკი (23 ქულა, 12 მოხსნა), დამპიე (15 ქულა, 12 მოხსნა); დანიელსი (9), სტეკჰაუზი (8), არმსტრონგი, ჰენდერსონი

**ამ** სერიაშიც დაიძაბა ვითარება. „დალასმა“ ფინიქსში დაამარცხა „სანზი“ და ანგარიში 1:1 გაათანაბრა, რაც მოვლენების საინტერესოდ განვითარებას გვკარნახობს. ფინიქსელებს აქვთ თავის მართლების საბაბი — პირველი ტაიმის დამთავრებამდე 3 წუთით ადრე დალასელი ჯერი სტეკჰაუზი მასპინძელ ჯო ჯონსონზე სათამაშო ეპიზოდში უხეშად დაეჯარიმდა. სატყორცნად ამხტარ ჯონსონს სტეკჰაუზის ხელი მოხვდა, ფიცარნაგზე სახით დაეცა და ყვრიმალის ძვალი გაიტეხა. მან იმ საღამოსვე გაიკეთა მიკროოპერაცია. იგი სულ მცირე სამ მატჩს გამოტოვებს და არც ისაა გამორიცხული, „დალასთან“ ვეღარც მოასწროს თამაში.

ასეთი ვინ [illegible], რომ მისი ყოფნა-[illegible] „[illegible]“ ყოჩაღი გუნდისთვის გადამწყვეტი იყოსო, თუ იკითხავთ, მართებულადაც. მაგრამ ეს ბიჭი ვიღაცა მაინც არ არის და მიუხედავად იმისა, რომ არცთუ ხშირად გვიხსენებია, ყურადღებას ნამდვილად იმსახურებს. „ფინიქსს“ არაერთი ვარსკვლავი ჰყავს — ნეშმა, სტუდემაიერმა და მარიონმა წლეულს თებერვალში ოლ სტარში ითამაშეს და ასეთი ხალხის გვერდით ჯონსონი იქნებ ნაკლებადაც ჩანდა, მაგრამ მის სარგებლიანობაზე ციფრებიც მეტყველებენ. „ფინიქსმა“ ამ პლეი ოფში პირველი ხუთი თამაში მოჯერით რომ მოიგო, ამაში ჯოს საშუალოდ 21,2-ქულიანი, 5,2-მოხსნიანი და 3,6-პასიანი წილი უდევს. პირველ შეხვედრაში მან 25 ქულა ჩაუგდო „დალასს“. აი, ასეთი კაცი დაკარგა „ფინიქსმა“, რომელსაც ნბა-ში ერთ-ერთი ყველაზე გამართული ხუთეული ჰყავს.

„დალასმაც“ ამით ისარგებლა. ჯონსონის ოპონენტმა მაიკლ ფინლიმ ამ შეხვედრაში 31 ქულა მოიხვეჭა.

თამაში მაინც თანაბარი იყო. ბოლო წუთისთვის „დალასი“ 106:102 უპირატესობდა და ნახევარ წუთში „ფინიქსმა“ სტუდემაიერის და ნეშის ორქულიანებით 106:106 გაათანაბრა. გამარჯვების ბურთი კი სტუმართა გერმანელმა ლიდერმა დირკ ნოვიცკიმ ჩააგდო დამთავრებამდე 6,8 წამით ადრე.

**კოტე ყორშია**



giro d'Italia

**ჯირო დიტალია 2005. 7-29 მაისი**

# მანდ სად მიძვრები?!
## ბეტინიმ კუკი დააბეტონა

**არცთუ** [illegible] [illegible] [illegible] ... 11 მაისს, მეოთხე ეტაპზე კი [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] ... ლიდერობა [illegible] ... [illegible] ლო [illegible] გადასწრებას ლამობდა. კუკი დალეწვას გადარჩა, ბეტინი კი ხელოვნურ სასჯელ-დისკვალიფიკაციას, თუმც მთლად მშრალადაც ვერ გამოვიდა ამ საქმიდან. კუკის წაქცევის შემდეგ პირველმა [illegible] გადაკვეთა საფინიშო ხაზი, თუმც [illegible] მოგება წაართვეს და იმ ოთხეულის [illegible] გუნდში, რომელიც პირველობისთვის იბრძოდა, ბოლო მეოთხე ადგილი ჩაწერეს.

„ეს გრძელი სპრინტი იყო და როდესაც დავიწყეთ, მე გზის ცენტრში მივდიოდი — თავს იმართლებს ბეტინი — შემდეგ მარცხნივ შევიწიე, რათა ჩემი „ხაზი“ დამეცვა, მაგრამ იქამდე ორჯერ მივიხედ-მოვიხედე, რათა ვინმესთვის საფრთხე არ შემექმნა. რამდენიმე წამშიც იგივე გავაკეთე და კუკი რომ შეტევას აპირებდა, ეს ძალიან გვიან დავინახე. თუ მისი დამტვრევა ჩემი ბრალია, მე მზად ვარ, ჯირო მივატოვო და შინ წავიდე.“

ბადენ კუკმა უფრო ხატოვანი კომენტარი გააკეთა, სულ „ფაქ, ფაქს“ იძახდა და ნამდვილად ვერ გავბედავთ გაზეთის ფურცელზე მისი სიტყვების უცვლელად გადმოტანას.

მავანი ველოსპეციალისტი ბეტინის არ თვლის „სისხლის სამართლის“ დამნაშავედ — კი, წესი წესია და მრბოლს არა აქვს სპრინტის დროს ბოლო 200 მეტრზე ტრაექტორიის მკვეთრად შეცვლის უფლება, მაგრამ თავის წილად კუკმაც მიქარა, რაკი შიდა მხრიდან სცადა წინ მიმავალისთვის გვერდის ავლა, როცა ბეტინის მარჯვენა მხარეს მთელი გზა თავისუფალი იყოო.

ამგვარად, ეტაპის მომგებ პაოლო ბეტინის სამი საფეხურით დაქვეითება აკმარეს, თუმც რაკი მოწინავე ოთხეულმა ფაქტობრივად ერთდროულად გადაკვეთა ფინიშის ხაზი, მას დიდი დრო არც დაუკარგავს და საერთო ჩათვლაში ლიდერობა იოლად შეინარჩუნა. საერთო ჩათვლის „მეორე კაცმა“ დანილო დი ლუკამ ამ ეტაპზე ოთხი წამი წააგო ბეტინისთან და სულ 13 წამით ჩამორჩა.

რაც შეეხება მომგებს, გამარჯვება ჩაეწერა ლუკა მაცანტის და გამარჯვებულის კუთვნილი 20-წამიანი ბონუსის წყალობით საერთო ჩათვლაში მესამე ადგილამდე აიწია.

**კოტე ყორშია**

**მე-4 ეტაპი. 11 მაისი. ჯიფონი ვალე პიანა — ფროზინონე. 220 კმ**

| | |
|---|---|
| 1 ლუკა მაცანტი (იტალია, კერამიკა პანარია) | 5 სთ, 10 წთ, 9 წმ |
| 2 დარიო დავიდ ჩიონი (იტალია, ბიანკი) | |
| 3 მიქელე სკარპონი (იტალია, ლიბერტი სეგუროსი) | |
| 4 პაოლო ბეტინი (იტალია, ქუიქ სტეპი) | ყველა იგივე დრო |
| 5 მირკო ჩელესტინო (იტალია, დომინა ვაკანზე) | -2 წმ |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1 პაოლო ბეტინი (იტალია, ქუიქ სტეპი) | 20 სთ, 19 წთ, 44 წმ |
| 2 დანილო დი ლუკა (იტალია, ბიანკი) | -13 წმ |
| 3 ლუკა მაცანტი (იტალია, კერამიკა პანარია) | -16 წმ |
| 4 დარიო დავიდ ჩიონი (იტალია, ბიანკი) | -19 წმ |
| 5 დამიანო კუნეგო (იტალია, ლამპრე) | -21 წმ |



# დარჩიამ ახლები დაარჩია

## რამაზ ნოზაძე საფრანგეთში დამძიმებული მიდის

**გამთენიისას საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა ნაკრები საფრანგეთს გაფრინდა, სადაც შაბათ-კვირას კრეტეის საერთაშორისო ტურნირზე იჭიდავებს. ეს შეჯიბრი ბეგი დარჩიას ბიჭებისთვის აპრილის ევროპირველობის შემდეგ პირველია და უკვე შემოდგომაზე ჩასატარებელი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპად მიიჩნევა. ნაკრების თავკაცმაც ევროშემადგენლობა პირწმინდად გადაახალისა და სასაფრანგეთოდ ახალი გუნდი დააყენა. დარჩიას წინასატურნირო სამზადისის ბოლო ვარჯიშის შემდეგ ფალავანთა კლუბში ვისაუბრეთ**





— ევროპის ჩემპიონატზე ნაჭიდავები ბიჭების საამტურნირო განაცხადში არშეყვანა სულაც არ ნიშნავს, თითქოს მათით უკმაყოფილო ვიყო და შემცვლელებს ვუძებნიდე. უბრალოდ, მინდა, მსოფლიოს ჩემპიონატის წინ ყველას მივცე ნაკრებში დამკვიდრების შანსი.

**— ამჯერად თავის გამოჩენის საშუალებას შედარებით გამოუცდელ ახალგაზრდებს აძლევთ?**

— ზურაბ ზავრაშვილსა და ვლადიმერ გეგეშიძეს ახალგაზრდულ ტურნირებზე ჭიდაობის უფლება კიდევ აქვთ. საერთოდაც, საფრანგეთში ძირითადი ნაკრების რამდენიმე დებიუტანტი გვეყოლება, თუმც არიან გამოცდილებიც — გიორგი ჯინჭველაშვილი და რამაზ ნოზაძე. ცნობისთვის, რამაზი მძიმე წონაში იჭიდავებს.

**— მისთვის წონის შეცვლა რატომ გადაწყვიტეთ?**

— ევროპის ჩემპიონატი გამოტოვა, მაგრამ ფიზიკურად ისე კარგადაა, თავისზე მძიმეებში ჭიდაობა არ უნდა გაუჭირდეს. პირიქით, ამით მეტ სარგებელს მივიღებთ. ფრანგული ტურნირი განსხვავებული სისტემით ტარდება. გუნდი გუნდს უპირისპირდება, თან წრიულად. სულ ცოტა ოთხი მეტოქე გვერგება, რაც თითოეული მოჭიდავისთვის ოთხ შეხვედრას ნიშნავს. თავიდან მძიმე წონაში მირიან გიორგაძის წაყვანას ვაპირებდით, მაგრამ მისი ამ ტურნირით დატვირთვა საჭიროდ აღარ ჩავთვალეთ. წინ ხომ თბილისის გივი კარტოზიას სახელობის საერთაშორისო ტურნირი ელოდება. სხვათა შორის, 2002 წლის ევროპის ჩემპიონატის წინაც განვახორციელეთ ანალოგიური ცვლილება. მაშინ გიორგაძემ ტრავმა მიიღო და ევროპის ჩემპიონატზე მისი ადგილი ნოზაძეს ვანდეთ. მედლამდე ერთი ნაბიჯი დააკლდა, მეხუთე ადგილზე გავიდა.

**— გუნდურ ტურნირზე არასრული შემადგენლობით რატომ ჩადიხართ?**

— 55 კილოგრამ წონით კატეგორიაში ნაკრების კანდიდატებს მირიან ნიშნიანიძესა და ირაკლი ჭოჭუას დასვენების შესაძლებლობას შეგნებულად ვაძლევთ. ორივეს წონა აქვს დასაკლები და რადგან ერთ თვეში თბილისში უწევთ ჭიდაობა, ამჯერად აღარ დავაკლებინეთ.

**— მაშასადამე ყველა მეტოქესთან 0:1-ით დაიწყებთ ჭიდაობას?**

— არა უშავს. ჩვენთვის ახლა მთავარი გამოცდილების მიღება და შიდა კონკურენციის ნახვაა. ერთქულიან ჩამორჩენასაც როგორმე ამოვეფხვრით.

**— მსოფლიოს ჩემპიონატზე წამსვლელ შემადგენლობას ასეთი ტურნირების შედეგების მიხედვით ჩამოაყალიბებთ?**

— უმთავრეს ყურადღებას კარტოზიას ტურნირს მივაქცევთ. ჩემი კატეგორიული მოთხ[illegible] მასზე ნაკრების ყველა წევრი და კანდიდატი გამოვიყვანე, [illegible] თადმა კონკურენციამ [illegible] გაარკვიოს ძლიერი.

**— თბილისური ტურნირის შემდეგ მსოფლიოს პირველობამდე საერთაშორისო ხალიჩაზე აღარავის გაიყვანთ?**

— ჯერ არც ერთ სხვა [illegible] ზე მონაწილეობა არ [illegible] ყუტია, თუმც შემდეგში [illegible] ვცვალოთ. ეს იმ შემთხვ[illegible] რომელიმე წონაში [illegible] ვერც „კარტოზია“ გამო[illegible] რომელიმე მოჭიდავისთ[illegible] ჯიბრო პრაქტიკის მო[illegible] ლუბლობას დავინახავთ.

**— თუ იცით თბილისში რამდენი ნაკრები ჩამოვა?**

— ტურნირი 18-19 ივნისისთვის [illegible] გეგმილი და ჯერ განაცხადის [illegible] მოგზავნას არავინ ჩქარობს. [illegible] რაუდოდ, სამი კვირით ადრე [illegible] ლა მსურველის ვინაობა [illegible] ლი იქნება. იმედია, ძლიერი შემადგენლობა მოიყრის თავს.

**— კრეტეის ტურნირის მერე დაბრუნდეთ. თქვენთან ერთად საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი თემურ ყაზარაშვილიც მოდის...**

— საერთაშორისო [illegible] უკვე კატეგორიულად ითხოვ[illegible] რნირებზე ნაკრებთან ერთად [illegible] ჯის ჩაყვანსაც. ყაზარაშვილიც [illegible] მსაჯად მოდის.

**ოთარ მაღლაკელიძე**

### საქართველოს ნაკრები

| | |
|---|---|
| 60 კგ | [illegible] |
| 66 კგ | [illegible] |
| 74 კგ | [illegible] |
| 84 კგ | [illegible] |
| 96 კგ | [illegible] |
| +120 კგ | [illegible] |



# როჯერის შურისძიება, სერენას ჩაიმასხრება

**მასტერსერია**
**ჰამბურგი. თიხნარი**
**საპრიზო 1,87 მლნ €**

**მეორე წრე**

**როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) — ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) 6:2 6:1; **ხუან კარლოს ფერერო** (ესპანეთი) — მარატ საფინი (3, რუსეთი) 4:6 6:4 6:2; **გასტონ გაუდიო** (4, არგენტინა) — ალბერტ კოსტა (ესპანეთი) 7:5 6:0; **ტიმ ჰენმანი** (5, ბრიტანეთი) — გრეგ რუზეცკი (ბრიტანეთი) 7:6 (7:3) 6:4; **გილერმო კორია** (10, არგენტინა) — მიხაილ იუჟნი (რუსეთი) 6:2 6:3

**ეგებ** ბევრს აღარც გახსოვდეთ, მაგრამ შარშანდელი ოლიმპიადა ამქრის მაშინდელ და ამჟამინდელ პირველოსან როჯერ ფედერერს უსახელო ჩეხმა ტომაშ ბერდიხმა წაუმძურდლა. მას შემდეგ როჯერს ბერდიხის ბოლმა არ ასვენებდა, რაკილა შარშან დიდი მუზარადის სამ (ავსტრალიურ, ბრიტანულ და ფრანგულ) ტურნირზე გალაღებულს არაფრის მოგება ისე არ სურდა, როგორც ოლიმპიადისა. ჰოდა, ჰამბურგულ თიხნარზე მხიარულმა როჯერმა ხოშიანად იძია შური — მეტოქეს მხოლოდ სამი გეიმი დაუთმო და საარაკოდ გვემა!

თავისი ზედიზედ მესამე მასტერსფინალისკენ მორიგი ნაბიჯი გადადგა გილერმო კორიამ, რომელმაც ასევე იოლად სძლია ტრავმიანობის გამო ამ ბოლო დროს ჩოგანმოჩლუნგებულ მიხაილ იუჟნის. შეგახსენებთ, რომ კორია ამ ტურნირის შარშანწინდელი ჩემპიონი და შარშანდელი ფინალისტია, ხოლო ფინალში თავად ფედერერისგან იძლია. რაც შეეხება წინა ორ საამსეზონო მასტერსფინალებს, კორია წლეულს ამოჩერესხურ-ფასკუნჯებულმა რაფაელ ნადალმა მოდრიკა.

სხვათა შორის, წინა კვირაში რომ რომაულ მასტერსთიხნარსფინალს უწია, კორია ამით შეიქნა მეხუთე მოქმედ მეჩოგნეთაგან, თავ-თავის დროზე სამსავე მასტერსთიხნარფინალში (მონტეკარლოსა, რომში და ჰამბურგში) რომ გარჯილა.

სხვაფრივ — შიდაბრიტანულ ომში იმარჯვა ტიმ ჰენმანმა, ხოლო ამქრის ყოფილ პირველოსანმა დაკა-დაკადაში ხუან კარლოს ფერერომ ჩოგანი დააშალითებინა წლევანდელი ავსტრალიობის ტრიუმფატორ მარატ საფინს, რითიც თავისი საამშუასეზონო აღზევება გააშთამბეჭდავა და მონტეკარლობის მერე სამი მარცხის წილ მე-12 გამარჯვება ირგუნა.

**ITALIA MASTERS**
**რომი. თიხნარი**
**საპრიზო 1,3 მლნ $**

**მეორე წრე**

**ამელი მორეზმო** (2, საფრანგეთი) — სამანტა სტოზერი (ავსტრალია) 6:2 6:0; **ფრანჩესკა სკიავონე** (იტალია) — სერენა უილიამსი (3, აშშ) 7:6 (7:2) 6:1; **ხისელა დულკო** (არგენტინა) — ელენა დემენტიევა (4, რუსეთი) 7:5 6:4; **ვერა ზვონარიოვა** (6, რუსეთი) — ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) 6:4 6:1; **ნადია პეტროვა** (7, რუსეთი) — მარა სანტანხელო (ესპანეთი) 6:3 6:1; **პატი შნიდერი** (8, შვეიცარია) — ანა-ლინა გრიონეფელდი (გერმანია) 6:2 6:4

**მთელი** ამ საქალებო ამბებიდან გამოსარჩევი ორი გახლავთ — ერთი ის, რომ შარშანდელმა ჩემპიონმა ამელი მორეზმომ მესამე წრეს უწია, ხოლო ამქრის ბაყვბაყვდევმა და ტრავმიანობა-დასტაქრიანობის მერე ეგრეც ვეღარ ამოდედლისბაყებულმა სერენა უილიამსმა პირველად ჩაიფლავა ფრანჩესკა სკიავონესთან, ვისთანაც აქამდე ორჯერ ეპაექრა და, ბუნებრივია, ორჯერვე ეხეირა. სერენა კორტზე მას შემდეგ აღარ გვეხილა, რაც რომ ამელიაავსტრალიობის მეოთხედფინალში მარცხენა კოჭი გადაიბრუნა და მერე ვეღარც ბელგიის წინაალმდეგ იფედთასა და ბერლინობასაც მოაკლდა.

**არტემ ჩაჩანიძე**





ჯეიმს ტონი

# ტონის ქამარი შემოხსნეს

**ჯეიმს ტონი,** რომელმაც ამას წინათ მძიმე წონის ასოციაციის (ვბა) ჩემპიონი შეიქნა „მედისონ სკვერ გარდენში“ აღარ არის მსოფლიო ჩემპიონი.

ჯონი რუისის ძლევის შემდეგ, ტონიმ საწამალე ტესტი გაიარა, რომლის შედეგიც ოთხშაბათს გამოაქვეყნა ნიუიორკის ათლეტთა საქმეების კომისიამ და იქვე ჩამოართვა ტიტული.

ტონის აკრძალული რამეები აღმოაჩნდა სისხლში. კომისიამ მას 90 დღით უქმობა და 10 ათასი დოლარის გადახდაც მიუსაჯა.

ასოციაციის წესებით, ტიტული ჯონი რუისს დაუბრუნდა, რომელსაც უკვე გადაეწყვიტა კრივიდან წასვლა.

ნიუიორკელ კომისართა თავმჯდომარეს, რონ სკოტ კტივენსს არ უთქვამს, კონკრეტულად რომელი წამლის კვალი აღმოჩნდა მოკრივის სისხლში.

ტონის პრომოუტერმა დენ [illegible] კი განცხადება გამოაქვეყნა, რომელშიაც ნათქვამია, რომ მას [illegible] მიუღია არა თუ პრეპარატები, [illegible] ნარკოტიკებიც. ერთადერთი საეჭვო [illegible] დო კვალი შეიძლება ის იყოს, რომ შარშან მოკრივემ ბიცეპსების და ტრიცეპსების ოპერაცია გაიკეთა და [illegible] რაღაც წამალი იმ დროიდან დარჩა სისხლში.

სამაგიეროდ, გახარებულია რუისის მენეჯერი ნორმან სტოუნი:

„სულ ის მესმოდა, რომ ჯონი გაასილაქეს და კრივი აღარ შეეძლო. ახლა ვინ დარჩა გასილაქებული?“

ტონის მხარე აპელაციას 30 დღის ვადაში შეიტანს და ღია მოსმენასაც მოითხოვს.

# გაფრინდა



AFP ბელგიიდან

ნამურის მოტოკროსი, როგორც მსოფლიო თასის ერთ-ერთი ეტაპი, ემ-იქს-კროსის მოტოთა შორის, ბელგიაში ჩატარდა. ჰოდა, ბელგიელმავე მოიგო, სახელად სტეფან ევერტსმა.

# დები რომში

ეს იტალიის ღია პირველობაა ჩოგბურთში. ვინუს უილიამსი ... ... ... ... ... დასთან ერთად, კიდევ ერთი დის, სერენას თამაშს უყურებს. სერენა იტალიელ ფრანჩესკა სკიავონეს ეთამაშება. შედეგი ძნელი გამოსაცნობი არ არის.



AFP რომიდან

# ბეისბოლის წამი

 აი, ეს არის ხოლმე ბეისბოლის ყველაზე ამაღელვებელი წამი. „ჩიკაგოელი" მარკ პროსი ბაზაზე წამის მეასედით ადრე შესრიალდა, ვიდრე „ნიუ იორკ მეტსის" მაიკ პიაცამ ბურთი დაიჭირა. „ჩიკაგო კაბსმა" 4:3 მოიგო 20 ინინგში.



AFP ჩიკაგოდან



AFP ჰონკონგიდან

# გაცნობილი ცათამბჯენებთან

მეტიუ მარში კარერას თასის მრბოლი ჩემპიონია. ეს შეჯიბრი ჰონკონგში ჩატარდა სამკაცა გუნდებში და „პორშეელებმა" იმარჯვეს.

# ტანის გამოთხოვება

სპორტს გამოეთხოვა დიდი ინვალიდი სპორტსმენი. 35 წის ტანი გრეი-ტომპსონი (მარჯვნივ). მას 11 ოლიმპიური ოქრო აქვს მოგებული სპრინტერულ დისტანციებზე, თუმცა, ბოლო ოლიმპიადაზე ვეღარ ივარგა. გრეი-ტომპსონის გამოთხოვება 12-15 მაისს მანჩესტერში გაიმართება, მსოფლიო თასზე, სადაც ის კვლავ იბრძოლებს მედლისთვის.



AFP მანჩესტერიდან


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეშვილი, ... ხოძერია, კაკო ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კილაურიძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფიფხაძე, თამარ ქანქლაძე, ზურაბ წერეთელი



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge